88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №23-24 (7053) 17 დეკემბერი 2021 წელი • www. Terjola. gov. ge

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოში...

საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილეები და კომისიათა ხელმძღვანელები არჩეულია, 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული...

ახალი მოწვევის საკრებულო ინტენსიურ რეჟიმში მუშაობს... 2021 წლის მოწვევის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა დადგენილ დროს—3 დეკემბერს შედგა. ამ სხდომას მალევე მოჰყვა სხდომა, სადაც საკრებულოს კომისიათა ხელმძღვანელები აირჩიეს... შემდეგ კიდევ მესამე სხდომა, სადაც სხვადასხვა პროცედურული და მიმდინარე საკითხები განიხილეს, ხოლო ბოლო მეოთხე სხდომაზე, რომელიც14 დეკემბერს გაიმართა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი განიხილეს და დაამტკიცეს კიდეც.

☞5,6

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

2021 ფინიშის სწორზე გავიდა, არ დაგავიწყდეთ ჩვენი გაზეთის გამოწერა 2022 წლისათვის!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

გაზეთის ერთი ნომრის ღირებულებაა 50 თეთრი,
6 თვით - 6 ლარი, წლით - 12 ლარი.
ხელმომწერთათვის დადგენილია სხვადასხვა შეღავათები.

დამსახურებული ჯილდოები ღირსეულთ!

☞7

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2

კოვიდპანდემია, მწვანე პასპორტები და ჩვენ...

☞3

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 60 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩაიტარებს ვაქცინაციას კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზით, ავტომატურად მიიღებს 200 ლარიან ერთჯერად დანამატს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაქცინირებულ პირთა შესახებ ინფორმაცია თვის განმავლობაში ორჯერ (1-ელ და 15 რიცხვებში) მიეწოდება და ინფორმაციის მიღებიდან მომდევნო 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მოქალაქისთვის თანხის ჩარიცხვას.

ერთჯერადი დანამატის ჩარიცხვა „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მათსავე ანგარიშზე მოხდება.

რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, რომელთა ასაკი 60-დან 65 წლამდეა და საპენსიო ასაკს არ მიეკუთვნებიან, სოციალური მომსახურების სააგენტო „ლიბერთი ბანკთან“ არსებული ხელშეკრულების ფარგლებში, ანგარიშებს თავად გაუხსნის.

ის მოქალაქეები, რომლებიც აცრის პირველ დოზას 2021 წლის დეკემბრის თვის ბოლოს გაიკეთებენ, ერთჯერად დანამატს 2022 წელს მიიღებენ.

ავიცრათ ერთმანეთისთვის!

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

საცხოვრებელი სახლები სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს წარმატებით განხორციელდა სოციალურად შეჭირვებული ოჯახების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის პროგრამა. საცხოვრებელი სახლები სულ გადაეცა ხუთ ოჯახს. სამი სახლი კი გასულ წელს აშენდა და მაშინ მოხდა შესახლება.

მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ახალმოსახლე ოჯახებს მათთვის მეტად მნიშვნელოვანი დღე მიულოცა, დამატებით საჭიროებებზე ესაუბრა და სამომავლოდ გვერდით დგომას დაპირდა.

„სოციალური უზრუნველყოფა ჩვენი უმთავრესი ამოცანაა და ამ მიმართულებით თერჯოლაში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახები ახალ სახლებში აგრძელებენ ცხოვრებას, მათ ჩვენი თანადგომა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ და მზად ვართ მომავალშიც აქტიურად ვითანამშრომლოთ. „სახლდაზიანების“ პროგრამის ეფექტურად მუშაობისთვის, ჩვენი ინიციატივით დაფინანსება გავზარდეთ, რომლის ფარგლებშიც გასულ წელს სამი სახლი, ხოლო მიმდინარე წელს 5 საცხოვრებელი სახლი აშენდა. ეს უმნიშვნელოვანესი პროგრამაა და შემდეგშიც აუცილებლად გაგრძელდება, რათა ბევრმა ოჯახმა იგრძნოს ის სიკეთეები, რომელსაც ჩვენი გუნდი ახორციელებს“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერიის „სახლდაზიანების“ პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან / და შეძენას, თუ მათი საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

ასეთი მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხს სწავლობს და გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია.

ხუთივე სახლის სამშენებლო სამუშაოები, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანიის, შპს „გზები 2“-ის მიერ განხორციელდა.

რვამილიონიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო...

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის საავტომობილო გზის 12,6 კმ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილესთან, მანუჩარ რობაქიძესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან გოდერძი თურქაძესთან ერთად მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ასფალტო-ბეტონის საფარი, ტროტუარები, სანიაღვრე სისტემა და მიერთებები.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „NEW ROAD“ ახორციელებს, რომლის ღირებულებაც 8 488 888 ლარია.

ახალი საინფორმაციო პორტალი terjolanews.ge

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით ახალი საინფორმაციო პორტალი terjolanews.ge შეიქმნა, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა სახის ინფორმაციის, საინტერესო სტატიებისა და სიახლეების მომხმარებლისთვის მაქსიმალურად ეფექტურად მიწოდებას.

ვებ.გვერდზე განთავსდება თერჯოლაში არსებული საჯარო თუ კერძო დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია, გაეცნობით მიმდინარე ამბებსა და სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ პროექტებს.

საინფორმაციო პორტალზე განთავსებული გრაფა „იდეა მერს“ იძლევა საშუალებას გაგზავნოთ შეტყობინება და გაიცნოთ საკუთარი იდეა მერს, ასევე გაქვთ შესაძლებლობა შექმნათ პეტიცია.

ამავე ვებ გვერდზე, გრაფაში „სიახლეები“ შესვლით თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ გაზეთ თერჯოლის მორიგ ნომრებს.

შეგახსენებთ, რომ ვებ.გვერდი, terjolanews.ge სატესტო რეჟიმშია და არსებული ხარვეზები უახლოეს მომავალში გამოსწორდება.

წყალი ტელეფასა და რუფოთს...

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ორი სოფლის: ტელეფასა და რუფოთის 24 საათიანი წყალმომარაგებისთვის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაიწყო.

აღნიშნულ სოფლებში დღემდე არ არსებობს სასმელი წყლის ცენტრალიზებული სისტემა, მოსახლეობა ეზოებში თვითნებურად მოწყობილი ჭებით სარგებლობს. სოფლების ნაწილი კი თერჯოლის წყალმომარაგების ქსელიდან მარაგდება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რეზერვუარის, სატუმბი სადგურისა და წყალმომარაგების სრულიად ახალი სისტემის მოწყობა. სამუშაოებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 8 400 000 ლარზე მეტი მოხმარდება. კონტრაქტორმა კომპანიამ საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები 2023 წლის გაზაფხულზე უნდა დაასრულოს, რის შემდეგაც ადგილობრივ მოსახლეობას უწყვეტი წყლის მიწოდება ექნება.

როგორია თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი კანონი— 2022 წლის ბიუჯეტი...

გლობალურმა პრობლემამ—კოვიდპანდემიამ და პარალელურად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურების გათვალისწინებით, ახალი მოწვევის საკრებულოების პირველი სხდომების 3 დეკემბერს დანიშვნამ, გარკვეული შეფერხებები შექმნა ადგილობრივი ბიუჯეტების განხილვის ეტაპების ვადების დაცვის პროცესში.

მართალია, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელიც დადგენილ დღეს, 3 დეკემბერს და შემდეგაც, კარგად აწყობილი მექანიზმივით და ერთგვარი ფორსირებითაც კი იმუშავა, მაგრამ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვას, ანუ დეპუტატების შენიშვნებითა და წინადადებებით მისი მერიისათვის დაბრუნება და შემდეგ ახალი განხილვა, ანუ ბიუჯეტის საბოლოო მიღება დადგენილი ვადისათვის ვერ ხერხდებოდა. ამდენად, სწორი იყო გადაწყვეტილება, რომ ბიუჯეტი პირველივე განხილვით იქნა მიღებული...

აღნიშნულის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, მკითხველს მივაწოდოთ გარკვეული ინფორმაცია მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ. ეს ინფორმაცია ეყრდნობა მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილ დოკუმენტს, რომელიც საკმაოდ მოცულობითია და მას საკრებულოს ფეისბუქ გვერდის საშუალებით შეგიძლიათ გაეცნოთ დაწვრილებით.

ამასთან, ვითვალისწინებთ, რა მოსახლეობის მაღალ ინტერესს ჩვენი გაზეთის საშუალებით დაწვრილებით გაგაცნობთ მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის საპროექტო პარამეტრები

მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2022-2025 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება, მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და თერჯოლის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მმართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები, რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის, ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

☞4

კოვიდპანდემია, მწვანე პასპორტები და ჩვენ...

რა უნდა ვიცოდეთ მწვანე პასპორტზე...

1-ლი დეკემბრიდან საქართველოში მწვანე პასპორტი ამოქმედდა. ეს სტატუსი ენიჭებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ორჯერ არიან აცრილები, ან გადატანილი აქვთ კოვიდი, ასევე იმათ, ვინც PCR ტესტი ჩაიტარა (PCR ტესტს 72 საათი აქვს ვადა), ან რომლებსაც 24 საათის განმავლობაში ექნებათ აღებული სწრაფი ტესტი. ასეთ შემთხვევაში მათ ეძლევათ სპეციალური კოდიანი ფურცელი, რომლითაც დგინდება, რომ ასეთი ადამიანები გარშემომყოფთათვის უსაფრთხო არიან.

სად უნდა აიღონ მოქალაქეებმა მწვანე პასპორტი?

მწვანე საშვის აღება მოქალაქეებს შეუძლიათ იუსტიციის სახლში თავისუფლად, ან იმ დაწესებულებებში, სადაც ისინი ტესტს აიღებენ, ან ვაქცინაციას ჩაიტარებენ.

„მწვანე პასპორტი“, ეს არ გახლავთ ერთი მწვანე ფერის დოკუმენტი, ეს არის სტატუსი, რომელსაც ადამიანი იღებს სხვადასხვა პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ეს პირობებია:

—თუ ადამიანი ორჯერ არის აცრილი, თუ ადამიანს გადატანილი აქვს კოვიდინფექცია. გადატანაში იგულისხმება ლაბორატორიულად დადასტურება და აქედან 14 დღის გასვლა, რადგან პირი იზოლაციაში 14 დღე უნდა იყოს.

— მწვანე პასპორტის მატარებელია, ასევე, ის ადამიანი, რომელსაც გაჩნია 72 საათიანი ვალიდურობის PCR ტესტი და 24-საათიანი ვალიდურობის სწრაფი ტესტი.

„მაქსიმალური კომფორტი რომ შეუქმნას მოსახლეობას და არ გაურთულდეთ მწვანე პასპორტის მიღების პროცესი, მათ აქვთ რამდენიმე ალტერნატივა. შეუძლიათ მიმართონ იუსტიციის სახლს და იქ აიღონ დამადასტურებელი პასპორტი, ან გამოიყენონ ის ცნობა, რომელსაც აძლევს ორჯერადი ვაქცინაციის შემდეგ მათ დაწესებულება, სადაც ვაქცინაცია ჩაიტარა და რომელზეც დატანილია კოდი.

გარდა ამისა, თუ ადამიანს დაუდასტურდა კოვიდინფექცია, მასაც აძლევს შესაბამის ცნობას

გამტესტავი დაწესებულება. თუ PCR-ს იკეთებს, 24 საათის მერე მისდის შეტყობინება და ცნობაც შეუძლია აიღოს, სწრაფი ტესტის შემთხვევაშიც იქვე გაიცემა ცნობა. დაწესებულებაში შესვლის შემთხვევაში იმ დაწესებულებას, შემმოწმებელ ორგანიზაციასაც ექნება სპეციალური პროგრამა, რომლითაც შეეძლება დაადგინოს მისი მომხმარებლის სტატუსი“, —ამბობენ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებულ ოპერატიულ შტაბში.

დოკუმენტი ფასიანია?

დოკუმენტის აღება უფასოა, თუმცა თუ პირს, რომელიმე დაწესებულებაში შესასვლელად ტესტის აღება დასჭირდება, მაშინ ღირებულება თვითონ უნდა გადაიხადოს.

სად არ მოსთხოვენ მოქალაქეებს მწვანე პასპორტს?

მოქალაქეებს მწვანე პასპორტს არ მოსთხოვენ ისეთ ადგილებში, სადაც მათი ყოფნა იქ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგალითად, თუ ადამიანი მიდის კლინიკაში, მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით, შედის აფთიაქში ან მაღაზიაში პროდუქტის შესაძენად.

სად იქნება აუცილებელი პასპორტის წარდგენა?

თუ თქვენ ხართ 18 წლის ზევით ასაკის და გსურთ ისეთ ადგილებში მოხვედრა, როგორიცაა კაფეების და ბარების ღია და დახურული სივრცეები, რესტორნები, კინოთეატრები, მუზეუმები, ოპერა, საკონცერტო დარბაზები, გასართობი ცენტრები, სამორინეები, სპა ცენტრები, ფიტნესდარბაზები, სასტუმროები, სამთო კურორტების საბაგირო გზები, მაშინ იქ აუცილებლად მოგთხოვენ მწვანე პასპორტს. ან შეგიძლიათ წარადგინოთ აცრის ან ტესტირების დროს მიღებული კოდიანი ფურცელი.

აღსანიშნავია, რომ მწვანე პასპორტებს მხოლოდ ობიექტების სტუმრებს მოსთხოვენ, დასაქმებულ პერსონალს —არა.

„ჯერჯერობით ამ კუთხით არ არის ვალდებულება შემოღებული, რომ დაწესებულების პერსონალი აუცილებლად უნდა იყოს აცრილი, თუმცა ამ მიმართულებითაც მიმდინარეობს მუშაობა. ეს საკითხი შეიძლება მარკეტინგული წახალისების მიმართულება იყოს. შეიძლება ამათუ იმ ობიექტს მიენიჭოს მწვანე სტატუსი იმის გამო, თუ იქ მომუშავე პერსონალი სრულად აცრილი იქნება. მწვანე სტატუსი ექნებათ და ეს მომხმარებლისთვის იქნება მაჩვენებელი იმის, რომ ის რესტორანი, ან სხვა დაწესებულება, მისთვის არის უსაფრთხო. ვფიქრობ, ეს დამატებითი სტიმული იქნება ხალხისთვის, რომ წავიდეს იმ რესტორანში, რომელსაც მწვანე სტატუსი ექნება. ვნახოთ, რამდენ დაწესებულებას ექნება სურვილი რომ მწვანე სტატუსი ჰქონდეს. მერე მოხდება ალბათ გადაწყვეტილების მიღება დამატებით შეღავათებთან დაკავშირებით“,—აცხადებენ საბჭოს ოპერატიულ შტაბში.

ამჟამად ფუნქციონირებს ვებგვერდი—covidpass.mog.gov.ge, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია პირადი მონაცემების შეყვანით თავისი სტატუსი გადაამოწმოს. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, მალე ამოქმედდება აპლიკაცია, რომელიც ციფრულად დაადასტურებს თქვენს მწვანე სტატუსს. ეს აპლიკაცია დაკავშირებული იქნება დაავადებათა კონტროლის ცენტრის ორ ბაზასთან: იმუნიზაციის ბაზასთან და კოვიდ ლაბორატორიების ბაზასთან, სადაც ყველა დიაგნოსტირებული, ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა ფიქსირდება. სწორედ ამ ბაზებიდან მოხდება პირის შემოწმება. მობილურ აპლიკაციაში განთავსდება კერძო პირის მწვანე სტატუსი, რაც მოიცავს: ვაქცინაციის სტატუსს, პსრ-ტესტების ჩატარების ისტორიას, ანტიგენ-ტესტის ჩატარების ისტორიას და ინფიცირების ისტორიას.

„მწვანე პასპორტი არ არის ახალი, უბრალოდ ახლა ხდება მისი მოქმედების არეალის გაფართოება. სპორტულ ღონისძიებებზე, სხვადასხვა ტრენინგებზე დასასწრებად, სწავლებების დროს ამას ისედაც ვიყენებდით. მალე, ასევე, შესაძლებელი იქნება აპლიკაციითაც სტატუსის გადამოწმება. ახლა გადის ეს აპლიკაცია ტესტირებას გუგლის და ეფლის პლატფორმებზე, რომ შემდეგ ადამიანებმა დაიყენონ ეს თავიანთ ტელეფონებზე და გაიადვილონ პროცესი“,—აცხადებენ საბჭოს ოპერატიულ შტაბში.

თუ პირი აცრილი არ არის და არც კოვიდი აქვს გადატანილი, მას ზემოჩამოთვლილ დაწესებულებებში ყველა შესვლის წინ ტესტის აღება თავიდან მოუწევს. 72 საათში ერთხელ PCR ჩატარება, ან 24 საათში ერთხელ სწრაფი ტესტის გაკეთება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში არ იქნება კორონავირუსის გადატანის ვადაზე შეზღუდვა, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია.

„იყო მოსაზრება, რომ გადატანილებზე ყოფილიყო ექვსთვიანი შეზღუდვა, მაგრამ ჩემი რეკომენდაცია იყო, რომ ეს შეზღუდვა მოგვეხსნა და საბჭომ გაიზიარა, ამიტომ, მწვანე სტატუსი ექნება პირს, ვისაც გადატანილი აქვს კორონავირუსი“—განაცხადა რამდენიმე დღის წინ თემაზე თავის კომენტარში ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა.

იქნება თუ არა მწვანე პასპორტის გაყალბება შესაძლებელი?

ეს კითხვა საზოგადოებაში დაისვა კიდეც, თუმცა როგორც საბჭოს ოპერატიულ შტაბში ამბობენ, ამ დარღვევის გამოვლენა ადვილი იქნება.

კიდევაც რომ გააყალბონ მწვანე პასპორტი, ის დაწესებულება, რომელიც ვალდებული იქნება, მხოლოდ მწვანე პასპორტით შეუშვას მომხმარებელი, ამას ადვილად დაადგენს, რადგან მას ექნება ამ სტატუსის გადასამოწმებელი სპეციალური აპლიკაცია და თუ რამე არის გაყალბებული, ავტომატურად ამოაგდებს და გამოჩნდება, რომ ცნობა არის ყალბი“.

რა სახის ჯარიმაა დაწესებული რეგულაციების წესების დარღვევისთვის?

კოვიდრეგულაციების დაცვის წესს შრომის ინსპექცია და პოლიცია შეამოწმებს. იმ შემთხვევაში, თუკი მოქალაქე რეგულაციის წესს დაარღვევს, მაშინ ის 2000 ლარით დაჯარიმდება, ხოლო თავად კომპანია—10 000 ლარით.

შემოწმება არის პირველ რიგში შრომის ინსპექციის პრეროგატივა და მას სხვა უწყებებიც დაეხმარებიან. დაჯარიმება მოხდება იგივე წესით, როგორც აქამდე ხდებოდა.

ვაქცინაციის ვალდებულება ყველამ უნდა აიღოს

თითქმის 2 წელი გადის, რაც ამ ვერაგმა დაავადებამ—კოვიდ-19-მა მსოფლიო მოიცვა.

რთული ვითარება შეიქმნა საბავშვო ბაღებშიც, რომლებიც ერთი წელი არ ფუნქციონირებდა.

კარგა ხანია საბავშვო ბაღებში შემოვიდა ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისთვის.

შემუშავებული გვაქვს საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით ავკრძალეთ საბავშვო ბაღის შენობაში გარეშე პირების შემოსვლა.

—დაწესებულების შესასვლელთან ხორციელდება თერმოსკრინინგი, დაფიქსირებული ტემპერატურის შემთხვევაში ხდება სპეციალურად მოწყობილ სივრცეში ბავშვის განთავსება.

—შენობის სხვადასხვა სივრცეში განლაგებულია ანტისეპტიკური საშუალებები.

—საბავშვო ბაღის შესასვლელსა და სამზარეულოს შესასვლელ კართან არის დეზობარიერი.

—უზრუნველყოფილია ბავშვების ხშირი ხელის დაბანა თბილი წყლით.

—პერსონალის და სხვა პირების შესვლა დაწესებულებაში ხდება მხოლოდ ნიღბებით.

სწორად გვაქვს დაგეგმილი ბავშვების ბაღში მიყვანის და გაყვანის დროები, რათა არ მოხდეს ერთდროული თავშეყრა დაწესებულების შესასვლელში.

ბევრი მოთხოვნაა სამზარეულოსა და სხვა სათავსოების მიმართ, რათა თავიდან იქნას აცილებული გართულებები.

მიმდინარე სასწავლო წელი დაიწყო 2021 წლის 18 ოქტომბერს. საბავშვო ბაღი დაკომპლექტებულია 5 ჯგუფით, სულ დარეგისტრირებულია 138 ბავშვი. ეს საკმაოდ დიდი ნაკადია, მაგრამ არ ხდება სრული დასწრება. ზოგჯერ კორონავირუსის გავრცელების შიშით, ბავშვის ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით.

საბავშვო ბაღს ემსახურება 38 თანამშრომელი. კოვიდ-19 გადატანილი აქვს 16 თანამშრომელს. აცრა ჩაიტარა 12-მა. მიუხედავად რეგულაციების მკაცრად დაცვისა მაინც მოხდა ბაღის ჩაკეტვა 2 კვირით. ვიმედოვნებთ, რომ მომავალი წელი უფრო უსაფრთხო იქნება, რადგან ყოველდღიურად მატულობს აცრილ და კოვიდგადატანილი თანამშრომლების რაოდენობა. ჩვენი მიზანია მივაღწიოთ იმას, რომ ვაქცინაცია ჩაიტაროს ყველა თანამშრომელმა. ვაქცინაციის ვალდებულება ყველამ უნდა აიღოს, აუცილებლად მშობლებმაც.

ლია გიორგაძე,
ქ. თერჯოლის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი

ვაქცინაცია—ჯანმრთელობის განმსაზღვრელი

სიქთარვის საბავშვო ბაგა-ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად არსებული რეგულაციების დაცვით განახლდა.

ბაგა-ბაღში 22 თანამშრომელია, 14 აცრილია, დანარჩენებიც მოკლე ხანში გეგმავენ აცრას. თერჯოლის ბაგა-ბაღების გაერთიანება სისტემატურად უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის კოვიდ-ტესტირებას. ბავშვებისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიქმნება, თუ მშობლები და თანამშრომლები სრულად იქნებიან აცრილნი.

ბაღში უსაფრთხოების მიზნით დაწესებულების შესასვლელთან, ექთნის მიერ ხორციელდება თერმოსკრინინგი, ექთნის დაქვემდებარებაშია აგრეთვე საიზოლაციო ოთახი. შენობაში განთავსებულია ხელის სანიტაიზერები და დეზობარიერები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვებისა და თანამშრომლების უსაფრთხოებას.

სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ სადეზინფექციო ხსნარით ხდება მყარი ზედაპირების დამუშავება.

პანდემიის პირობებში, საგანგებო სიტუაციის გამო, 18 ნოემბერს

ღონისძიება ღია ცის ქვეშ ჩავატარეთ. შევეცადეთ ბავშვების უსაფრთხოება არ დარღვეულიყო. ამ ნაბიჯით შევეცადეთ პატარებისათვის ეს ერთი დღე გაგველამაზებინა და სიხარული მიგვენიჭებინა.

ანა ფანჩულიძე,
სიქთარვის საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი

როგორია თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი კანონი—2022 წლის ბიუჯეტი...

2 ☞

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2022-2025 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2022 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 6.3% პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის შემოსულობები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები ეფუძნება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 13500.0 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2300.0 ათასი ლარით. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით, საწარმოთა ქონების გადასახადის გეგმის ზრდით და დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდით;

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის საშემოსავლო ნაწილის მაჩვენებლის მიხედვით, რეალური შემოსავალი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 325.3 ლარს მიაღწევს. ხოლო, რეალური შემოსავალი ერთ სულზე საშუალოდ თვეში -27.1 ლარი იქნება.

მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობაში (13500.0 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლებია 12569.1 ათასი ლარი, გრანტები - 180.0 ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები 600.9 ათასი ლარი და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 150.0 ათასი ლარი.

მთლიან შემოსავლებში (13500.0 ათასი ლარი) უშუალოდ, საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 93,1%-ს, ანუ 12569.1 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის: ქონების გადასახადი 2400.0 ათასი ლარი (აქედან: საქართველოს საწარმოთა ქონება - 2000.0 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონება - 10.0 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე -60.0 ათასი ლარი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 330.0 ათასი ლარი). დამატებული ღირებულების გადასახადი - 10169.1 ათასი ლარი;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების საპროგნოზო მოცულობაში (13500.0 ათასი ლარი) ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების (ტრანსფერების) ხვედრითი წილი 1,3 %-ს, ანუ 180.0 ათას ლარს შეადგენს (მიზნობრივი ტრანსფერი – 180.0 ათას ლარი), ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული.

მომავალი საბიუჯეტო წლის პროექტში შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ასევე სხვა შემოსავლები, რომელიც დაგეგმილია - 600,9 ათასი ლარით, მისი ხვედრითი წილია 4,5%. მათ შორის: პროცენტები განსაზღვრულია - 90.0 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 270.0 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან დაგეგმილია 10,0 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებელი - 15.0 ათასი ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 80.0 ათასი ლარი, შემოსავალი მომსახურეობის გაწევიდან - 5,9 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 120.0 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 10.0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის საგასავლო ნაწილის საპროგნოზო პარამეტრები განსაზღვრულია საშემოსავლო ნაწილის შესაბამისად - 13500.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2300.0 ათასი ლარით მეტია 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ნაწილობრივ ასახულია თანამშრომელთა ხელფასების ზრდა.

ხარჯები პრიორიტეტების მიხედვით

— ინფრასტრუქტურის განვითარება—625,0 ათასი ლარი;

— დასუფთავება და გარემოს დაცვა— 1700,0 ათასი ლარი;

— განათლება—3050,0 ათასი ლარი;

— კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი—1487.0 ათასი ლარი;

— ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა—1260.0 ათასი ლარი;

— მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები—4378.0 ათასი ლარი.

— თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო —875.0 ათასი ლარი;

— თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია—3202.0 ათასი ლარი;

— სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური—120.0 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 50.0 ათასი ლარი;

— წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 1.0 ათასი ლარი;

— მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 100.0 ათასი ლარით.

— კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 30.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა
—	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	13 500,0
01 01 01	თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო	875,0
01 01 02	თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია	3 202,0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	120,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	50,0
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	100,0
01 02 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	30,0
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი	350,0
02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	240,0
02 03	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	500,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	275,0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	10,0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	250,0
03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	1700,0
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	110,0
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	2700,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	30,0
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	10,0
04 04	სკოლისგარეშე განათლება	200,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	30,0
05 01 02	სპორტული სკოლა	480,0
05 02 01	სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	157,0
05 02 02	სახელოვნებო სკოლები	210,0
05 02 03	ბიბლიოთეკები	128,0
05 02 04	კულტურის სახლები	297,0
05 02 05	მუზეუმები	70,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	40,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20,0
05 05	საგამომცემლო საქმიანობა	55,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	110,0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	10,0
06 02 01	სოციალური დაცვა	1140,0

2022 წლის ბიუჯეტის პროექტში არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს – 1130.0 ათას ლარს, მათ შორის:

— ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვის ხარჯი და რგფ პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება - 350.0 ათასი ლარით. გზების მიმდინარე შეკეთება (ორმული დამუშავება) დაფინანსდება 100.0 ათასი ლარით და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით.

— წყლის სისტემის რეაბილიტაცია დაფინანსდება 60.0 ათასი ლარით რგფ პროექტების თანადაფინანსება.

— გარე განათების ქსელზე მიერთება დაფინანსდება -10.0 ათასი ლარი.

— კომუნალური მეურნეობის განვითარება დაფინანსდება -245.0 ათასი ლარით, აქედან 50.0 ათასი ლარი გამოყოფილია სამოქალაქო ბიუჯეტისათვის.

— სოფლის პროგრამები დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით.

— საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება -245.0 ათასი ლარით.

— საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობის თანადაფინანსება დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის თანადაფინანსება დაფინანსდება - 30.0 ათასი ლარით.

ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (სოფლის ამბულატორიები) დაფინანსდება -10.0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის მერია დაფინანსდება - 155.0 ათასი ლარი (კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 10.0 ათასი ლარი; პრინტერები 10.0 ათასი ლარი და სხვადასხვა ტექნიკა 35.0 ათასი ლარი და ვიდეო სამეთვალყურეო კამერები (ავტობანზე) 100.0 ათასი ლარი).

P.S. საყურადღებოა, რომ საკრებულოს სხდომამ მხედველობაში მიიღო საკრებულოს ფრაქციათა და კომისიების სხდომებზე ბიუჯეტის განხილვისას გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, იმ დათქმით რომ მათი გათვალისწინება აუცილებლად მოხდება უკვე დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გამოყენებით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოში...

საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილეები და კომისიათა ხელმძღვანელები არჩეულია, 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული...

1☞

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების არც ამ—მორიგი მნიშვნელოვანი მოვლენის დროს დაივიწყეს თერჯოლამ და თერჯოლელმა პოლიტიკოსებმა თვითმმართველობის წლევანდელი არჩევნების, როგორც წინა კამპანიის, ის არჩევნების დღეს და მას შემდგომ პერიოდში იმ აუცილებელი და მნიშვნელოვანი პრინციპების ერთგულება, რასაც პოლიტიკურ ენაზე ერთმანეთისადმი და ამომრჩეველთა მიმართ პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გამოხატვა ჰქვია და რომელსაც უპირველესად ის სიმშვიდე და სტაბილურობა მოაქვს, აგრერიგად რომ სჭირდება საზოგადოებას, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას...

საკრებულოს პირველ სხდომაზე მოხსენება №49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნაზი სირაძემ გააკეთა... (გამოსვლის ტექსტი იხ. აქვე).

მან საკრებულოს ახლადარჩეულ წევრებს სხდომის თავმჯდომარედ უხუცესი დეპუტატი ამირან ვერულაშვილი შესთავაზა... კანდიდატურა ერთხმად იქნა მიღებული.

სხდომას ესწრებოდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი.



შემდეგ, უკვე სხდომის თავმჯდომარემ ამირან ვერულაშვილმა სხდომის მონაწილეების სამუშაო დღის წესრიგის დარჩენილი 6 საკითხი გააცნო.

დეპუტატებმა დღის წესრიგის პირველი ოთხი საკითხი ოპერატიულად გაიარეს, აირჩიეს სამანდატო და ხმის დამთვლელი დროებითი კომისიები.

საარჩევნო პროცედურის დაწყებამდე მათ ერთხმად დაამტკიცეს დეპუტატთა უფლებამოსილებები, ცნობად მიიღეს ინფორმაციები უმრავლესობის ანუ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ დაფუძნების შესახებ, რომლებსაც თანმიმდევრობის შესატყვისად უხელმძღვანელებენ დეპუტატები: გოჩა ვერულაშვილი, კახა ბუცხრიკიძე და როლანდი მესხი.

ყოველივე ამის შემდეგ გადავიდნენ დეპუტატები დღის წესრიგის ბოლო საკითხებზე—არჩევნებზე.

***

სხდომაზე სიტყვა ითხოვა ფრაქცია „ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველოს“ ხელმძღვანელმა გოჩა ვერულაშვილმა, რომელმაც სხდომის მონაწილეებს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ამავე ფრაქციის წევრი დეპუტატი გიორგი ბარათაშვილი წარუდგინა.

სხვა კანდიდატურა სხდომაზე არც დასახელებულა, რადგან თავმჯდომარის კანდიდატურას ერთხმად უჭერდა მხარს უმრავლესობის ყველა წევრი 30-დან 18 დეპუტატი, რაც თავმჯდომარედ გიორგი ბარათაშვილის უპირობოდ არჩევას ნიშნავდა.

გამართული ფარული კენჭისყრით საკრებულოს თავმჯდომარედ უმრავლესობამ ერთხმად აირჩია გიორგი ბარათაშვილი.

მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა სახელდახელოდ იქვე მიულოცა გიორგი ბარათაშვილს საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევა და გამოთქვა დიდი იმედი, რომ მერიისა და საკრებულოს ეფექტური თანამშრომლობა მნიშვნელოვნად წაადგება თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

თავის მხრივ ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ მადლობა გადაიხადა გამოცხადებული ნდობისათვის და მის პირველ მოადგილედ დეპუტატი დავით გოგბერაშვილი დაასახელა. დავით გოგბერაშვილიც უმრავლესობის მიერ ასევე ერთხმად იქნა არჩეული საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დასახელდა მისი მოადგილის ჯერ ერთი, ხოლო მისი არჩევის შემდეგ მეორე კანდიდატურა.

ფარული კენჭისყრით უმრავლესობის მიერ მოადგილეებად ასევე ერთხმად იქნა არჩეული ჯემალ ისაკაძე და ნინო ჩხიკვაძე, რომლებსაც პასუხსაგებ თანამდებობებზე არჩევა მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა, საკრებულოს წევრებმა...

ვუერთდებით ამ მილოცვებს... იმედი გვაქვს, რომ საკრებულოს ხელმძღვანელი ბირთვი, ისე როგორც ყველა დეპუტატი, ფრაქციები და საკრებულოს 7 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე არჩეული საკრებულოს ხუთი კომისიის ხელმძღვანელი: თემურ ქოჩიაშვილი, გრიგოლ გიორგაძე, ბადრი ბუცხრიკიძე, ბიძინა ბუცხრიკიძე და შალვა ჭანკვეტაძე შესაბამისი კომისიების წევრებთან ერთად მაქსიმუმს გააკეთებენ მუნიციპალიტეტის წინსვლისა და განვითარებისათვის.

ნაზი სირაძე, №49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

მოგესალმებით ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, საარჩევნო ადმინისტრაციის სახელით გილოცავთ 2021 წლის 2 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს წევრებად არჩევას და თითოეულ თქვენთაგანს გისურვებთ წარმატებებს თქვენი საქმიანობის განხორციელებაში!

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბატონ ლაშა გოგიაშვილს მივულოცო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერად არჩევა და ვუსურვო წარმატებები მუნიციპალიტეტის განვითარებასა და კეთილდღეობაში.

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს და მის თარიღს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია და მე, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს მაქვს პატივი გავხსნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებზე N49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოწვევას წარმოადგენდა საარჩევნო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც საარჩევნო ადმინისტრაციას ბევრი მნიშვნელოვანი საქმიანობის განხორციელება განესაზღვრა. საოლქო კომისიამ შეძლო აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავება და უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელება..ჩვენ წარმატებით ჩავატარეთ საორგანიზაციო თვალსაზრისით ყველაზე რთულად ადმინისტრირებადი არჩევნები, რომელიც, როგორც საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების, ასევე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ შეფასდა დადებითად. მათი განცხადებით საარჩევნო პროცესები მაღალ პროფესიულ დონეზე იყო ადმინისტრირებული. საარჩევნო პერიოდი იყო ძალიან მშვიდი და გამჭირვალე.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საოლქო კომისიის მიერ კომისიის სხდომაზე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვლენილი იქნა ხუთი საარჩევნო უბანი, რომელთა მონაცემების გადათვლა განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვით, ასევე სიახლეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ხმის დათვლის პროცედურა განხორციელდა ვიდეოფიქსაციით.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს 2021 წლის 2 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების შესახებ. N49 თერჯოლის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე შეიქმნა 10 ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქი 33 საარჩევნო უბნით. კომისიას არჩევნებში მონაწილეობის მიზნით მომართა 11 საარჩევნო სუბიექტმა.

წარმოგიდგენთ პროპორციული წესით შემაჯამებელი ოქმის მონაცემებს. ამომრჩეველთა რაოდენობა ერთიან სიაში 330090, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა 20423, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 61.7 %ია. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით, კანონით განსაზღვრული 3%-იანი ბარიერი გადალახა 4 სუბიექტმა.

— N2 „ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მიიღო 1722 ხმა, რაც მოსული ამომრჩევლების 8,79%-ია. მიიღო 2 მანდატი.

— N5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 5886 ხმა, რაც მოსული ამომრჩევლების 30.04%-ია. მიიღო 7 მანდატი.

— N25 „გახარია საქართველოსთვის“ 1053 ხმა, რაც მოსული ამომრჩევლების 5.37%-ია. მიიღო 1 მანდატი.

—N41 „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 9197 ხმა, რაც მოსული ამომრჩევლების 46,94%-ია. მიიღო 10 მანდატი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული არიან:

N2 „ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის“

1. ლევანი კვატაია
2. რუსუდან კოვზირიძე

N5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

1. კახა ბუცხრიკიძე
2. რამინი რობაქიძე
3. თამარ ახვლედიანი
4. ამბერკი დოლაკიძე
5. დავითი ცხადაძე
6. ნატალია ასათიანი
7. კობა კირკიტაძე

N25 „გახარია საქართველოსთვის“

1. ივანე ჩუბინიძე

N41 „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

1. გიორგი ბარათაშვილი
2. ამირან ვერულაშვილი
3. ნინო ჩხიკვაძე
4. თემური ქოჩიაშვილი
5. ლაშა გურგენიძე
6. იზა მაგრაქველიძე
7. ბიძინა ბუცხრიკიძე
8. კობა კაცაძე
9. ნინო მახათაძე
10. ომარი ჯიხვაშვილი

☞6

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოში...

საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილეები და კომისიათა ხელმძღვანელები არჩეულია, 2022 წლის ბიუჯეტი დამტიცებული...

1☜

გიორგი ბარათაშვილი,
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

დავით გოგბერაშვილი,
საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე

ჯემალ ისაკაძე,
საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

ნინო ჩხიკვაძე,
საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

თემურ ქოჩიაშვილი,
საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე,
ეკონომიკისა და ქონების მართვის
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ბიძინა ბუცხრიკიძე,
იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გრიგოლ გიორგაძე,
კულტურის, განათლების, სპორტის
და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარე

შალვა ჭანკვეტაძე,
ჯანმრთელობის დაცვის და
სოციალურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

გოჩა ვერულაშვილი,
ფრაქცია „ქართული ოცნება-
დემოკრატიული საქართველო“,
თავმჯდომარე

კახა ბუცხრიკიძე,
ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური
მოძრაობა“, თავმჯდომარე

როლანდი მესხი,
ფრაქცია „ევროპული საქართვე-
ლო მოძრაობა თავისუფლების-
თვის“, თავმჯდომარე

5☜ **ნაზი სირაძე, №49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:**

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით:

N49.01. თერჯოლის ქალაქის ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის მაჟორიტარად-საკრებულოს წევრად არჩეულია ელისო მურადაშვილი

N49.02 მაჟორიტარად არჩეულია გრიგოლ გიორგაძე

N49.03 მაჟორიტარად არჩეულია მერაბი ბასილაძე

49.04 მაჟორიტარად არჩეულია როლანდი მესხი

N49.05 მაჟორიტარად არჩეულია გოჩა ვერულაშვილი

N49.06 მაჟორიტარად არჩეულია ჯემალი ისაკაძე

N49.07 მაჟორიტარად არჩეულია შალვა ჭანკვეტაძე

N49.08 მაჟორიტარად არჩეულია ბადრი ბუცხრიკიძე

N49.09 მაჟორიტარად არჩეულია დავითი გოგბერაშვილი

N49.10 მაჟორიტარად არჩეულია მანუჩარი ფანჩულიძე

რაც შეეხება 2021 წლის 2 ოქტომბრის თვითმმართველი თემის მერის არჩევას, N49 თერჯოლის საარჩევნო ოლქში რეგისტრაცია გაიარა 2 საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილმა მერობის კანდიდატებმა.

საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი იქნა ბეჟან ბუცხრიკიძე.

ქართული ოცნების მიერ წარდგენილი იქნა ლაშა გოგიაშვილი.

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 33090.

არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა 20423.

ბათილად ცნობილი ბიულეტენები რაოდენობა 1262.

საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმების რაოდენობა 19148.

ლაშა გოგიაშვილმა მიიღო 10313 ხმა (53.86%).

ბეჟან ბუცხრიკიძემ მიიღო 8835 ხმა (46.14%).

ამ შედეგების თანახმად თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია ლაშა გოგიაშვილი.

2021 წლის 2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების შეჯამებით, 2021 წლის 16 ოქტომბერს N49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, ყველა პროცედურა დაასრულა. საოლქო საარჩევნო კომისიამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პროფესიულ დონეზე უზრუნველყო არჩევნების ორგანიზება. ამომრჩეველთათვის კენჭისყრის დღეს ყველა პირობა იყო შექმნილი, რომ თავისუფალ გარემოში განეხორციელებინათ საკუთარი ნების გამოხატვა.

ახალარჩეულ საკრებულოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია თერჯოლის მუნიციპალიტეტის განვითარების თვალსაზრისით და ამასთან, გააჩნია უდიდესი პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე. შესაბამისად, პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო მოქალაქეებს, თითოეულ ამომრჩეველს, რომელმაც აქტიურად მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და საკუთარი ხმის დელეგირებით ანდო არჩეულ პირებს მართვა და თვითმმართველობის ორგანოების მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელება. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო საარჩევნო ადმინისტრაციის თითოეულ თანამშრომელს, ვინაიდან სწორედ მათი მაღალი პასუხისმგებლობისა და შრომის შედეგად შედგა 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები.

აქვე მინდა ჩემი პატივისცემა გამოვხატო არჩევნებში ჩართული ყველა მხარის მიმართ, მადლობა გადავუხადო საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, ადგილობრივ მედიას, რომელიც აქტიურად იყო ჩართული საოლქო და საუბნო კომისიებში, კენჭისყრის დღის პროცედურების გაშუქებაზე, ადგილობრივ ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებს, ვინაიდან ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საარჩევნო პროცესების გამჭირვალედ წარმართვა.

დღევანდელი დღე 2021 წლის 3 დეკემბრის პირველი სხდომა ისტორიაში დარჩება, როგორც ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილების განხორციელების დაწყების დღე და ახალი მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი. მჯერა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს საქმიანობა იქნება წარმატებული, ნაყოფიერი და კიდევ ერთხელ მინდა გისურვოთ წარმატებები თქვენს მომავალ საქმიანობაში.

***

გამოსვლის დასასრულს №49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად შემდგომი პროცედურების წარმათვისათვის სიტყვა გადასცა საკრებულოს არჩეულ წევრთაგან უხუცეს წევრს, ამირან ვერულაშვილს. ასევე, მან სამანდატო კომისიას გადასცა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო და ყველა ის დოკუმენტაცია, რომლებიც აუცილებელია დეპუტატების უფლებამოსილებების განხორციელებისათვის.

დამსახურებული ჯილდოები ღირსეულთ!

„თერჯოლის“ ნოემბრის თვის ნომერში ვიუწყებოდით, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2018-2019 წლებში წარმატებით კურსდამთავრებულებს, მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა გადასცა კუთვნილი ოქროსა და ვერცხლის მედლები, რომლებიც ახალგაზრდებმა სანიმუშო ქცევითა და სწავლით დაიმსახურეს...

ამჯერად კი, დამსახურებული ჯილდოები ბატონმა ლაშამ, მოადგილეებთან, საკრებულოს წევრებსა და რესურსცენტრის ხელმძღვანელებთან ერთად გადასცა 2019-2020 წლებში საჯარო სკოლების კურსდამთავრებულ თერჯოლელ ახალგაზრდებს, სასიხარულოა, რომ 2019-2020 სასწავლო წლების შედეგების მიხედვით ოქროსა და ვერცხლის მედალი 47-მა თერჯოლელმა ახალგაზრდამ მიიღო.

2020-2021 წლის მედალოსან კურსდამთავრებულებს კი მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით „ბიბლუსის“ სასაჩუქრე წიგნები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

დაჯილდოება სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში გაიმართა. ღონისძიებამდე, სკოლის პირველ სარულზე, ამავე სკოლის მოსწავლეთა საშემოდგომო გამოფენა გაიხსნა (ვერნისაჟზე დაწვრილებით „თერჯოლის“ საახალწლო ნომერში).

„პირველ რიგში, მინდა მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი წარმატება, გულწრფელად მიხარია და საამაყოა, როდესაც თერჯოლაში ამდენ გონიერ, წარჩინებულ და მიზანდასახულ ახალგაზრდას ვხედავ. მიმაჩნია, რომ განათლების მხარდაჭერა ყველაზე სწორი ინვესტიციაა, რადგან ეს მომავალი თაობის განვითარებას ეხება. ოქროსა და ვერცხლის მედალი არის სიმბოლური ჯილდო, რომლის მიღებისთვის ძალიან დიდი ძალისხმევა და შრომა გაიღეთ. გახსოვდეთ, რომ სწავლისადმი სიყვარული, შრომა, მონდომება და მიზანსწრაფვა ყოველთვის დაგიფასდებათ. ვისურვებდი, სამომავლოდ თქვენი ცოდნა და გამოცდილება ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისკენ მიგემართოთ. მადლობას ვუხდი საგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებს და თქვენს მშობლებს ღირსეული თაობის აღზრდისთვის, გისურვებთ წინსვლასა და წარმატებებს“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა ახალგაზრდებთან შეხვედრაზე.

აი, ისინი ვინც წარჩინებით დაამთავრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები 2019-2020 სასწავლო წელს...

თერჯოლის №1 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: მარიამ აბულაძე, ანი ბურჯანაძე, ნათია ლილუაშვილი, თეკლა ცქიფურიშვილი, სალომე წულუკიძე. ვერცხლის მედალოსანი: კახი ფანჩულიძე.

თერჯოლის №2 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი: სალომე მემანიშვილი.

ალისუბნის თემის №1 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: ლუკა მაკარიძე, ანი მემანიშვილი, ანი ქველიძე.

ახალთერჯოლის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი: მაკა ბუცხრიკიძე.

გოდოგნის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი: ნოდარ ამბროლაძე.

ეწრის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი: გიორგი არაბიძე.

ზედა საზანოს საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: ინგა გოგნაძე, თეკლა ვარდოსანიძე.

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა. ვერცხლის მედალოსნები: სანდრო აბესაძე, ოთარ სულამანიძე.

თუზის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: ანი სოფრომაძე, თინათინ ჩაფიჩაძე.

ნაგარევის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი: ანა მარგველაშვილი.

რუფოთის საჯაროს სკოლა. ოქროს მედალოსანი: თამთა გოგიაშვილი. ვერცხლის მედალოსნები: თამარი ჭანკვეტაძე, ლალი ჭანკვეტაძე.

სიქთარვის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი: ნანა რობაქიძე, ვერცხლის მედალოსანი: მარიამ ჩიხლაძე.

ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: დავით ბრეგვაძე, მარიამ ცხელიშვილი, თამარ ხაჭაპურიძე. ვერცხლის მედალოსნები: ირაკლი ლიკლიკაძე, გრიგოლ ნიკოლაძე.

ქვ. სიმონეთის №2 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი: თედო ხუსკივაძე.

ღვანკითის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: თეონა კოვზირიძე, სოფიო პერანიძე, თათია ქარქაშაძე.

ჭოგნარის საჯარო სკოლა. ვერცხლის მედალოსნები: კესო ბასილაძე, ანანო კობახიძე.

ჩხარის №1 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: ელენე ფანჩულიძე, ქრისტინე ჩიტიძე, ვერცხლის მედალოსნები: თამარ აბჟანდაძე, ნინო ფანჩულიძე, გიორგი ცქიფურიშვილი.

მზეკაბანი-2007. ოქროს მედალოსნები: ზურა არაბიძე, ლაშა ზარნაძე, გიორგი კუბლაშვილი, ცისანა რობაქიძე, თინათინ ჩუბინიძე, ლანა ჭანტურიძე.

მადლობა ჩვენს ახალგაზრდებს, მათ აღმზრდელ-პედაგოგებს, მშობლებს.

მუდამ წარმატებების გზით გევლოთ!..

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობები

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია

შალვა ჭანკვეტაძე,
ლაშა გურგენიძე,
იზა მაგრაქველიძე,
ნინო მახათაძე,
ელისო მურადაშვილი,
დავით გოგბერაშვილი,
ბადრი ბუცხრიკიძე,
კობა კირკიტაძე,
დავით ცხადაძე,
კახა ბუცხრიკიძე,
ლევან კვატაია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

თემურ ქოჩიაშვილი,
დავით გოგბერაშვილი,
ნინო მახათაძე,
გოჩა ვერულაშვილი,
გრიგოლ გიორგაძე,
გიორგი ბარათაშვილი,
მანუჩარ ფანჩულიძე,
რამინი რობაქიძე,
კობა კირკიტაძე,
როლანდი მესხი.

იურიდიულ საკითხთა კომისია

ბიძინა ბუცხრიკიძე,
ნინო ჩხიკვაძე,
ომარი ჯიხვაშვილი,
კობა კაცაძე,
გიორგი ბარათაშვილი,
ჯემალი ისაკაძე,
დავით ცხადაძე,
ნატალია ასათიანი,
რუსუდან კოვზირიძე.

კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისია

გრიგოლ გიორგაძე,
ამირან ვერულაშვილი,
ნინო ჩხიკვაძე,
ლაშა გურგენიძე,
ომარი ჯიხვაშვილი,
ელისო მურადაშვილი,
მანუჩარ ფანჩულიძე,
ნატალია ასათიანი,
თამარ ახვლედიანი,
რამინი რობაქიძე,
ივანე ჩუბინიძე,
რუსუდან კოვზირიძე.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია

ბადრი ბუცხრიკიძე,
თემური ქოჩიაშვილი,
ბიძინა ბუცხრიკიძე,
კობა კაცაძე,
ჯემალი ისაკაძე,
შალვა ჭანკვეტაძე,
გოჩა ვერულაშვილი,
ამბერკი დოლაკიძე,
მერაბი ბასილაძე,
ივანე ჩუბინიძე,
როლანდი მესხი.

კახა გაბრიჭიძე იუბილარია

55 წლის გახდა კახა გაბრიჭიძე—ცნობილი რაგბისტი, რომელიც ქუთაისის „აიას“ იმ თაობას ეკუთვნის დიდი ტრიუმფით, რომ დაგვირგვინა ათეულობით წლების განმავლობაში ქართველ რაგბისტთა შემართება და თავდადება სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის.

იმ წლებში ქუთაისის „აია“ ზედიზედ სამჯერ გახდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ასევე სამგზის მოიპოვა საბჭოთა კავშირის გარდამავალი თასი. ამ ღირსსახსოვარ გამარჯვებებში თავისი წვლილი შეიტანა კახა გაბრიჭიძემ, რომელიც გუნდში მუდამ გამოირჩეოდა სპორტული დისციპლინით, თავდადებით და პროფესიონალიზმით, საქმისა და ადამიანებისადმი ერთგულებით...

ასეა ის დღევანდელ ცხოვრებაშიც... მასზე ბევრ კეთილ და თბილ სიტყვას ამბობენ თერჯოლელები, ღვანკითელები, ქალაქთან მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლები, რომლებსაც შესაშური ყურადღებით ემსახურება კახა გაბრიჭიძე—სახელოვანი რაგბისტი, კაცთმოყვარე ადამიანი და მეგობარი.

მრავალჟამიერ მას...

„თერჯოლა“

მასწავლებლად უნდა დაიბადო... ასე ფიქრობს ახალბედა პედაგოგი

ნარკვევი

აზა მემანიშვილმა ამას წინათ „მზეკაბანის“ ფეისბუქ გვერდზე მოკლე სტატუსით საზოგადოებას წარუდგინა ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს კონკურსით შეირჩა და სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგად დაინიშნა.

იგი ელენე კუტივაძეა...

„ელენეს არ გასჭირვებია ბავშვებისა და კოლეგების გულის მოგება, საოცრად კომუნიკაბელურია, ენერგიული, ინიციატივიანი, უყვარს ბავშვები და თავისი საქმე... პირველი პროექტი, რომელიც მან სკოლაში განახორციელა, ესაა: „საარჩევნო პროცესი მოსწავლეებში“, პროექტის მიზანი იყო მოსწავლეებისათვის წარმოდგენის შექმნა არჩევნებზე, რომელსაც მან წარმატებით გაართვა თავი“, აღნიშნავდა აზა მემანიშვილი...

დავინტერესდი მისი ვინაობით, ქალბატონმა აზამ ელენეს შესახებ სატელეფონო საუბრისას გაცილებით მეტი მითხრა და გადავწყვიტე იგი გაზეთ „თერჯოლის“ მკითხველებისათვის გამეცნო...

ელენეს რამდენიმე დღეში მოსწავლეახალგაზრდობის ცენტრში აღსაზრდელთა მიერ წარმოდგენილი პროექტის შემაჯამებელ პრეზენტაციაზე შევხვდი... მან თავისი მოკლე გამოსვლით ანუ მოსაზრებების დაფიქსირებით კიდევ უფრო გამიღრმავა აზრი, რომ მას უნდა იცნობდეს ჩვენი საზოგადოება...

მე მას ავტობიოგრაფია ვთხოვე, რომელიც ამ ნარკვევის წერისას უნდა გამომეყენებინა, თუმცა, ვფიქრობ, ყოველგვარი ჩასწორება-კომენტირების გარეშე მისივე დაწერილი გულდასმით წაიკითხოთ. მან აბსოლუტურად გასცა პასუხი ყველა იმ კითხვას, რომელიც დამწყები პედაგოგისათვის უნდა დამესვა.

ავტობიოგრაფია

მე ელენე კუტივაძე დავიბადე 1996 წლის 23 მაისს ქ. თერჯოლაში. ვარ დაოჯახებული, მყავს მეუღლე და წლინახევრის ვაჟი, ვცხოვრობ სოფელ ჩხარში.

2014 წელს დავამთავრე ქვედა ალისუბნის საჯარო სკოლა წარჩინებით ოქროს მედალზე.

2014 წ. ჩავაბარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის სპეციალობაზე, 2018 წელს კი მაგისტრატურაზე საქართველოს ისტორიის განხრით, ბაკალავრია და მაგისტრატურაც დავასრულე წითელ დიპლომზე.

2018-2019 წლებში გავიარე პრაქტიკები კერძო სკოლა „იმედში“. 2019 წელს ჩავაბარე მასწავლებლის მოსამზადებელ 60 კრედიტიან პროგრამაზე, რომელიც წარმატებით ავითვისე და გავხდი ისტორიის სრულფასოვანი მასწავლებელი. დამერწმუნეთ, ყველაფერი საკმაოდ ადვილია ჩამოსათვლელად, თუმცა უკან განვლილ გზას რომ გადავხედავ, ვხვდები, რომ ძალიან ბევრი შრომა, მონდომება, ძალისხმევაა ჩადებული, როგორც დავით გურამიშვილი იტყოდა: „სწავლის ძირი მწარე არის კენწეროში გატკბილდებისო“, ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. ჩემი წარმატებული მომავლის საფუძველი ჩემი მშობლების ძალისხმევაა, ვინც დამაყენა სწავლის გზაზე, ჩემი სკოლისა და მასწავლებლების შრომა, რომლებმაც შემაყვარა სწავლა, ჩემი მონდომებისა და მიზნებისა, რომელმაც მომცა ძალა ამ გზას დავდგომოდი. ახლა 25 წლის ვარ, 19 წლის ვიყავი, თითქმის მეორე კურსზე, რომ დავოჯახდი, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ოჯახს ვუთმობდი სწავლას ყოველთვის პირველი ადგილი ეკავა ჩემს ცხოვრებაში.

ყოველთვის მინდოდა გავმხდარიყავი მოსწავლეებისათვის საყვარელი მასწავლებელი! უკვე ორი თვეა, რაც სამოქალაქო განათლების მასწავლებლად დავიწყე მუშაობა კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“-ში, ამირჩიეს კონკურსის საფუძველზე და იმ დღიდან მე მაქვს უზარმაზარი პასუხისმგებლობა სკოლისა და მოსწავლეების მიმართ!

მასწავლებლობა ეს არის უნარი და ნიჭი, რომელიც ან გაქვს ან არა! მასწავლებელს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება მოსწავლეების მიმართ, რადგან მისი უპირველესი მოვალეობაა ბავშვის აღზრდა, სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება და განათლების მიცემა.

ვაცნობიერებ, რომ მასწავლებლობა დიდ ძალისხმევასა და შრომას მოითხოვს! მე ყოველდღე მაქვს საფიქრალი, როგორი იქნება ყოველი გაკვეთილი, თუ რას გავაკეთებ საკლასო ოთახში ჩემს გაკვეთილზე ჩემს მოსწავლეებთან! ყოველთვის მინდოდა, რომ ჩემი გაკვეთილები ყოფილიყო ძალიან საინტერესო, შემეცნებითი და ამასთან სახალისო. ბავშვები არ უნდა იყვნენ მხოლოდ წიგნზე ორიენტირებული, მე ვიყენებ სხვადასხვა რუკებს, სლაიდებს, ფილმებს, კითხვარებს, ვიქტორინებს, რათა გაკვეთილები იყოს კიდევ უფრო მეტად ორიგინალური და რაც მთავარია, ბავშვებისათვის საინტერესო. ამის ერთ-ერთი მაგალითია თუნდაც ჩემს მიერ განხორციელებული პროექტი, რომლის მიზანი იყო მოსწავლეებში არჩევნებთან დაკავშირებული პროცედურების გაცნობა.

ბოლო დროს არჩევნები ძალიან აქტუალური სასაუბრო თემა იყო, ამის პარალელურად დაერთო სასწავლო თემა არჩევნებზე, გადავწყვიტე რომ არჩევნების როლის უკეთ გაგებაში ჩამეტარებინა არჩევნების ინსცენირება (2018 წელს ავიღე საარჩევნო კომისიის მოხელის სერთიფიკატი), დავიხმარე მე-10, მე-9, მე-8, მე-7 კლასები, მეცხრე კლასმა საარჩევნო კომისია დააკომპლექტა, ხოლო დანარჩენები კი ამომრჩევლები იყვნენ. პროექტი ძალიან საინტერესო და ინფორმირებული გამოვიდა.

ჩემი პროფესიული განვითარება მხოლოდ ახლა იწყება, ეს მხოლოდ დასაწყისია, წინ კიდევ მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი პროექტები და გეგმები მაქვს, კიდევ ბევრია გასაკეთებელი“.

***

დიახ, რაღა თქმა უნდა ყველაფერი წინაა, რაზედაც ასე მიზანდასახულად მოტივირებულად და იმედიანად საუბრობს ელენე...

როგორ მიყვარს ასეთი ახალგაზრდები...

ბედნიერებაა მათი აღმოჩენა და საზოგადოებისათვის წარდგენა...

ელენე კუტივაძე ახლა უფროსი მასწავლებლის წოდებით კერძო სკოლა „მზეკაბანში“ VII-X კლასების მოსწავლეებს სამოქალაქო განათლებას ასწავლის, მასზე, ბუნებრივია, მრავალწილად არის დამოკიდებული როგორ მოქალაქეებად ჩამოყალიბდებიან ის გოგო-ბიჭები, რომლებიც ახლა მის წინ მერხებს უსხედან და ახალგაზრდა მასწავლებელს თვალებში შეჰყურებენ...

სამოქალაქო პასუხისმგებლობას ჯერ კიდევ ბავშვობაში ოჯახში, საბავშვო ბაღში, შემდეგ კი სკოლაში უნდა ჩაეყაროს საფუძველი: სკოლამ, თითოეულმა აღმზრდელმა უნდა იტვირთოს, რომ მოსწავლეები სკოლაში კონკრეტული საგნის დასაუფლებლად, მხოლოდ ნიშნებისა და ატესტატისათვის კი არ დადიოდნენ, არამედ საზოგადოების, ერის ღირსეულ მოქალაქეებად ყალიბდებოდნენ...

ელენე საგანთან ერთად თავის მოსწავლეებს უთუოდ ასწავლის სიკეთის მსახურებას, რაც ნიშნავს საზოგადო საქმე უანგაროდ და წმიდად უნდა კეთდებოდეს, რომ სიკეთე-სხვისთვის მსხვერპლის გაღებაა...

გავლენ წლები, თაობები გაიზრდებიან და დრო უფრო ნათლად წარმოაჩენს ელენეს პიროვნებას, მის პროფესიულ ოსტატობას; პრაქტიკული საქმიანობა დაგროვებულ სტაჟთან ერთად ხომ მეტი ცოდნაა, გამოცდილებაა, სიყვარულია... დიახ სიყვარულია საქმის, მოსწავლეების, ზოგადად ადამიანის... სიყვარულით საქმიანობა და ცხოვრება ნიშნავს პირადი მაგალითით გული გაუთბო არა მხოლოდ შენს მოსწავლეებს, არამედ შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს... მაშინ, როცა ირგვლივ ლამის გათიშულ-განცალკავებული ადამიანები და სიყვარულის დეფიციტი სულიდან მთელ სხეულში გატანს... როცა ვერა და ვერ ვისწავლეთ განსხვავებული აზრისათვის, თუნდაც უკეთური მოქმედებისათვის ადამიანები კი არ გვძულდეს, უმჯობესია გვიყვარდეს, რადგან სიყვარულს გაცილებით მეტი და სასურველი ზემოქმედების ძალა აქვს, ვიდრე გვგონია...

დიახ, პედაგოგობა ნამდვილად არ არის მხოლოდ საგნის სწავლება, იგი გაცილებით მეტია და ელენეს აქვს სწორი ხედვა და მოტივაცია...



საამისოდ აქვს უნარიც, ძალაც და ენერგიაც...

დღეს განსაკუთრებით სჭირდება ქვეყანას ასეთი ახალგაზრდები...

ელენე დღეს ორ „ფრონტზე“ იბრძვის... პედაგოგობა და ოჯახი მისთვის ორივე მნიშვნელოვანია და ძალისხმევას საჭიროებს. სკოლაში მოსწავლეები ელოდებიან, ოჯახში მეუღლე და წლინახევრის პატარა... ორივე „ფრონტი“ საპასუხისმგებლოა და ახალგაზრდა, სულ მხოლოდ 25 წლის ქალბატონი, უთუოდ მოიგებს ბრძოლას, რომელსაც ბედისწერამ შეაჭიდა...

წარმატებული პედაგოგიური სარბიელი და ბედნიერი დედობა გვისურვებია...

მზია ცქიფურიშვილი

ლამზირა გვენეტაძე—80

ძვირფასო ლამზირა, ჩვენო კოლეგავ, დაო და მეგობარო, გულითადად მოგილოცავთ მე-80 საიუბილეო წლისთავს. გვინდა, მაგრამ ძნელია სიტყვებით გადმოიცეს ის დიდი ღვაწლი, რომელიც მიგიძღვის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის და ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

„საქმემან შენმან უკვდავგყოს და გამოგაბრწყინოს, შთამომავლობას დაუტოვო კვალი ნათელი“ პოეტის ეს მეტყველი სტრიქონები ზუსტად მოგესადაგება შენ, დარბაისელ ქალბატონს, თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ყოფილ ღირსეულ წევრს, მრავალი ათეული წლის მანძილზე.

უზომოდ გვიხარია, რომ კვლავაც მხნედ ხარ და თავიც დაგვალოცვინე შენებურად, იმერული პეწით გაწყობილ სუფრაზე.

გიორგობა დღეს ხარ დაბადებული, ალბათ ამიტომ ხარ ასე უმწიკვლო და სულით ძლიერი.

კიდევ მრავალი ბედნიერი წელი მოგანიჭოს უფალმა. მიიღე ჩვენგან ეს გაურანდავი, მაგრამ გულწრფელი სტრიქონები საჩუქრად:

ჩვენს მეგობრობას მოითვლის ალბათ მრავალი წელი,
შემოგვეპარა სიჭარმაგე ამასაც ვხვდებით,
ცხოვრების ჭაპანს კვლავ ვეწევით ომახიანად,
ვერაგ სიბერეს არასოდეს არ დავნებდებით.
წმინდა გიორგიმ მოგილოცა დაბადების დღე,
და ამ მოლოცვას სიხარულით ჩვენც ვუერთდებით,
რამდენი წელი გაატარე სკოლის კედლებში,
რა ენერგია ჩაალიე დროსთან ჭიდილში.
თესე სიკეთე, რაც შეგეძლო ბარაქიანად,
მოყვასი რომ დაგივიწყებს ნუ გაქვს ფიქრები,
ოთხმოცი წელი ხომ მიუთვალე ამ წუთისოფელს,
მოგვეც პირობა ასოთხმოცის ჩვენთან იქნები.

უახლოესი მეგობრები:
ნანა, ლია, ჟიური, დარეჯანი

კარგი სიტყვა კარგ ადამიანზე ოქროსხელება კაცი

ცხოვრობს თერჯოლაში, შიგ შუა ქალაქში, ერთი მეტად საინტერესო ადამიანი—გოჩა გავაშელაშვილი. წყნარი, უპრეტენზიო პიროვნება, ოქროს მარჯვენის პატრონი უნივერსალური ხელოსანია... და რაც ყველაზე მთავარია, იგი კარგი ტრადიციული ქართული ოჯახის პატრონი და მოჭირნახულეა. სოფელ ღვანკითში მამაპაპურ ფუძეზე მშვენიერი მეურნეობა აქვს, სიმინდსაც იწევს და ყურძენსაც, ფურიც ჰყავს და კრუხ-წიწილაც... როგორც თვითონ ამბობს ორი დიპლომის პატრონია და ადრე არც სამსახური აკლდა, მაგრამ ქვეყანა რომ აირია 90-იან წლებში და სამსახური საძებარი გახდა მშენებლის პროფესია აითვისა და დღემდე ამ ხელობით გააქვს თავი. აქ შეიძლება დაგვესვა წერტილი, მეტი რაღაა საჭირო მისი პორტრეტის დახატვისათვის, მაგრამ მაშინ სულ უფრო მთავარი დაგვრჩებოდა უთქმელი, ის, რაც ასე აკლია დღეს ადამიანს—სიყვარული და სიკეთის თესვა, ბატონი გოჩა კი სწორედ ამ თვისებებითაა გამორჩეული. კაცს, რომელსაც სიმდიდრე არათუ თავზე გადადის, არამედ ზოგჯერ „ქამრის შემოჭერაც უხდება“ ეკონომიკური სივიწროვის გამო, მუდამ მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს შეჭირვებულს. უწვდის კიდეც უანგაროდ, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, ღმერთის მოშიში და მოყვარული.

მქონდა საშუალება იგი მკლავდაკაპიწებული მუშაობის დროსაც მენახა და მაგიდაშიც ტკბილად მოუბარი. ზოგიერთ მის მონაყოლს, რომელიც სიკეთის ქმნას უკავშირდება აქვე შემოგთავაზებთ.

სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ვარ, 18 წელი რომ შემისრულდა მაშინვე გამიწვიეს. 25 ვიყავი, „ვზვოდში“, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ერთი უკრაინელი იყო, 2 მეტრიანი ახმახი, გაუშრო ბიჭებს სისხლი. განსაკუთრებით პატარა სიმაღლის ჯარისკაცებს ვერ იტანდა. გაუვლიდა გვერდს თუ არა ისე ღონიერად წაარტყამდა თავში ლაფათასავით ხელს, დარეტიანებული დიდხანს ვეღარ დგებოდა ფეხზე. კაცი ვერ უბედავს ხელის შებრუნებას, ან ამხელა გოლიათს ვინ რას დააკლებდა. ვითმენ ამ ხანს, იმ ხანს, რომ აივსო მოთმინების ფიალა წავედი, მოვნახე ერთი კაი აგური, შევახვიე ქაღალდში, ყაზარმაში შემოსასვლელთან მასიური კარადა იყო, ავედი ზედ და დავუდარაჯდი. რომ გაუსწორდა კარადას მოვაჯექი ბეჭებზე და დაუშვი და დაუშვი აგური თავში. მტერი გეყოლათ ისე მე ის გავხადე. ძლივს მოასულიერეს. მოგეხსენებათ ჯარს თავისი კანონები აქვს და „გაუბახტში“ გამწესება დამიპირეს უფროსებმა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს, როცა ავუხსენი მათ საქმის ვითარება, გაუკვირდათ, ცხადია, ამხელა მუტრუკს როგორ მოვერიე, ბიჭებმა ხომ მას შემდეგ ხელის გულზე ამიყვანეს, სახლებიდან მიღებულ „პასილკებს“ ჩემს გარეშე აღარ ხსნიდნენ.

სტუდენტობის პერიოდში ვის არ უნდა კარგად ჩაცმულ-დახურული იყოს. ასე ვიყავი მეც. მაშინ ხეირიან რამეს, განსაკუთრებით იმპორტულს, ქუთაისში თუ იყიდდი, შაუმიანის ქუჩაზე, ებრაელების დასახლებაში. კარგი პიჯაკის საყიდლად სწორედ ამ ქუჩას მივაშურე. აგერ, სახლის წინ, ზის ერთი ხანდაზმული ებრაელი, არ დამჭირვნია მეთქვა რა მინდოდა, უკან გამომყევიო მითხრა, შემიყვანა სახლში. ტანსაცმელი გინდა თუ ფეხსაცმელიო. პიჯაკი მინდა მეთქი. გამოაღო კარადა სავსე ნაირ-ნაირი ტანსაცმლით, ჩამოხსნა ერთი პიჯაკი, დამატოლა ბეჭებზე შენი ზომაა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო. გადავუხადე რაც მითხრა და გახარებული დავბრუნდი შინ.

შესული არ ვიყავი ეზოში ეგრევე ჩავიცვი, გამოწყობილი მინდა მნახონ შინაურებმა. უცებ გულის შიდა ჯიბესთან, უხეშად მომხვდა რაღაც მკერდზე, ჩავიყავი ჯიბეში ხელი, ხუთმანეთიანების პაჭკებია შიგ. ათი პაჭკა დავთვალე. ასე, ტანზე პიჯაკით და ხელში ხუთმანეთიანებით დახუნძლულმა შევაღე სახლის კარი. გაკვირდებოდნენ აბა რა იქნებოდა, კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ფული გამატანეს პიჯაკის საყიდლად, ავუხსენი რა და როგორ იყო. კლდიაშვილის ქალი იყო ცხონებული ბებიაჩემი (დედაჩემის დედა) ახლავე წადი, ბებია, მიუტანე იმ კაცს თავის ფული, „რაც არ გერგება, არ შეგერგებაო“. მალე წადიო, კვერი დაუკრეს მშობლებმა, ვინ იცის, თუ გაიგო, როგორ ნერვიულობსო. წავედი ქუთაისში. ვნახე, ისევ იქ ზის, ბაიბურში არ არის რა მოხდა. შევიდეთ სახლში მეთქი, მე თვითონ შევიპატიჟე საკუთარ სახლში და ხუთმანეთიანის პაჭკები დავულაგე მაგიდაზე. უმალ მიხვდა ყველაფერს, ჯერ უზომო გაკვირვება გამოეხატა სახეზე, შემდეგ უზომო სიხარული. „ობეხა“გვამოწმებს ხოლმე, სიჩქარეში ჩემებს აქ დაუმალიათ ნავაჭრი ფულიო. მე ვიცი ახლა და შენაო. რიგ-რიგობით გამოაღო კარადები, აქეთ „სალამანდრები“ ჩამაცვა ფეხზე, იქეთ აბრეშუმის „სარო ჩკა“, შალის შარვალი, ფინური პალტოც იღლიაში ამომიდო შეხვეული და მშვიდობაში გაცვითეო, დააყოლა ზედ. შენ მე ბარაქა დამიბრუნე, ეგრე რომ არ გექნა დავითარსებოდი და გავღარიბდებოდიო.

წარმოიდგინეთ ჩემების გაკვირვება, როცა სასიძოსავით გამოწყობილი მივედი შინ. ჩვენ რა ვუთხარით და ამას რაში დაუხარჯავს ფულიო, მაგრამ მოვუყევი როგორც იყო და დავაწყნარე ყველანი. ასეა, შვილო, სიკეთე არათუ იკარგება, ღმერთი უფრო მეტს მოგაგებსო, მითხრა გახარებულმა ბებიამ.

ერთხანობას რუსეთში მომიწია მუშაობამ. ფერმას აშენებდა იქაური კერძო მრეწველი. შეიკრა ბრიგადა. მე მლესავად ამიყვანეს, გავიდა კვირა, მიდის საქმე ნორმალურად. დაიწყო მეორე კვირა და ვხედავ გალესილი კედელი დამსკდარია, მოვსინჯე ხელით, დაიწყო ცვენა. მივედი ბრიგადირთან, არ ვარგა ცემენტი, ამით რაიმეს შენება არ შეიძლება მეთქი ვუთხარი. შეიძლება თუ არ შეიძლება ეგ მე ვიცი, რასაც მოგიტან იმით ლესე და კიდევ ენას კბილი დააჭირე, თავი არ წააგოო, დამემუქრა. ნუ შეგეშინდება თუ ბიჭი ხარ, საცხა ხარ, დასაკარგავში, ეს კი ისეთი ვინმე ჩანს ფულის გულისათვის ყველაფერზე წამსვლელია. არადა ასეთ არაკაცობაზეც თვალი როგორ დავხუჭო, შემკვეთი რუსი ებრაელი იყო, შესანიშნავი პიროვნება. მივედი და ვუთხარი დაბალმარკიანი ცემენტი მოაქვს ბრიგადირს, ასეთ ნაგებობას სხვა მარკის უნდა-მეთქი. წავიდა, საიდანაც მოჰქონდა, გადაამოწმა. ყიდულობს თურმე იაფიან ცემენტს, ჩეკს აწერინებს მაღალი მარკისას და „უტეხავს“ ფულს. ცხადია იმ დღესვე დაითხოვა სამუშაოდან, გააფრთხილა, არაფერი შეგეშალოს თორემ ციხიდან თავს არ გამოგაყოფინებო. ამან მიშველა, თორემ ნაღდად რაღაცას მომწევდა. აგერ ფული, აგერ მანქანა აწი შენ იქნები მომმარაგებელი, რაც შეიძლება კარგი ხარისხის იყიდე ყველაფერი, „მე ისე მდიდარი არ ვარ იაფიანი ვიყიდოო“. გადმომცა მანქანის გასაღები და აბა შენ იციო, დამკრა ბეჭებზე ხელი. კაცი რომ გენდობა ხვადაგი უნდა იყო რაიმე მოატყუო.

მისხალ-მისხალ ვაბარებდი ანგარიშს, ობიექტიც რიგიანად აშენებული ჩავაბარეთ. ჩვენი კუთვნილი თანხა გადმოგვცა და მადლობა გვითხრა, შენი განსაკუთრებით მადლიერი ვარ, მეუბნება გამომშვიდობებისას, მანქანა, რომლითაც მასალებს ეზიდებოდი შენია დღეიდან, გინდ გაყიდე, გინდა სახლში წაიყვანე და მოიხმარეო.

ალბათ იღბალიცაა, თორემ ყოველთვის ასე არ ხდება, არის ცალკეული უცხვირპირო ადამიანები, თან რომ გადაყვე ერთ მადლობას არ გაიმეტებენ. ღმერთმა თავის გზაზე ულხინოს ყველას, „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგხვდებაო“—მე ამ ხალხური შეგონებით ვცხოვრობ და ამას ვუნერგავ ჩვენს შვილებსაც—ამბობს ბატონი გოჩა.

მის შვილებზე ახლა მოგახსენებთ მკითხველო: ერთს, უფროსს, უკვე იცნობთ—მიხეილ გავაშელაშვილი, ჩვენს გაზეთში ორჯერ იყო მოხვედრილი. 3 შვილის მამა, კარგი მშრომელი და კარგი მეოჯახე. მესამე ვაჟი რომ შეეძინა პატრიარქს მოანათლინა. მეუღლე, ნატო ქოჩიაშვილთან ერთად, ეწევა ცხოვრების მძიმე ჯაპანს. არაა იოლი, ამ ყოველმხრივ პრობლემებით გაჯერებულ დროში თავიც გაიტანო და 3 შვილი აღზარდო. მით უფრო აღსანიშნავია მათი შემართება.

ადგილი შეიძინეს ყოფილი ჩაის ფაბრიკის დასახლებაში, კარგა ხანია ჩაყარეს ახალი ფუძის ბალავერი, ერთი სული აქვთ როდის მოიყვანენ სახურავში, რომ საცხოვრებლად გადავიდნენ...

გოჩას უმცროსი ვაჟი მირზაც მუყაითი მშრომელი და მეოჯახე მამაა. რძალი თამარ კოპალიანი უაღრესად ენერგიული და ოჯახზე მზრუნველია. სამი შვილი ჰყავთ, მეოთხეს ელოდებიან. კიდევ რაღა უნდა თქვა მათზე, გმირობაა აბა რა, დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზე მისულ ქვეყანას ამდენ შვილს რომ უზრდიან.

მალე ახალი წელი შემოაღებს კარებს. გოჩა გავაშელაშვილი და მისი მეუღლე გულინა გიორგაძე შვილებით და შვილიშვილებით დახუნძლული, იმედებით აღვსილი ეგებებიან მას.

ღმერთმა ჯანის სიმრთელე არ მოაკლოთ, ყველა იმედი და სურვილი აუხდინოთ.

კონსერვაცია და სულ რაღაც კილომეტრი...

ჩვენი რაიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, მეტად გამორჩეული და ღირსშესანიშნავი მათ შორის სკანდის ციხეა, IV საუკუნეში აგებული სტრატეგიული თავდაცვითი ნაგებობა,—ციხე-ციტადელი. მისი საისტორიო მნიშვნელობიდან გამომდინარე ძეგლს მუდამ ჰყავდა მნახველები. საბჭოურ პერიოდში ყველა სკოლა დაინტერესებული იყო, პედაგოგებს აქ ექსკურსია-გაკვეთილი მოეწყოთ მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის (სასურველია ეს პრაქტიკა გაგრძელდეს). ვისაც არ გადმოუხედავს ციხის ქონგურების ნარჩენებიდან და თვალსაწიერში არ მოუქცევიათ გარემო, ნუ იტყვის რომ რაიონს იცნობს. იშვიათად, მაგრამ ძეგლს ახლაც ჰყავს დამთვალიერებლები, მათ შორის უცხოელები. რამოდენიმე თვის წინ, ერთ-ერთ ჩემ ნაცნობ სოფლის მკვიდრს შეხვედრია ციხის სანახავად მიმავალი გერმანელი ცოლ-ქმარი, ველოსიპედით იყვნენო. მიუსწავლებია როგორ ასულიყვნენ ციხეზე. გაკვირვებულმა მითხრა რა უცნაური ხალხი ყოფილა ეს გერმანელები, რომ ჩამოვიდნენ ამ სიშორიდან, სხვა უკეთესი ადგილები ვერ შეარჩიესო? არაა იოლი ასეთ კაცს აუხსნა რატომ მიდიოდა, ამ უძველესი ისტორიული ძეგლის სანახავად გერმანელი ცოლ-ქმარი. შევეცადე კი და რადგან სხვაც ბევრი სათანადოდ ვერ აფასებს რა განძის პატრონები ვართ, წინაპართაგან დატოვებულისა, აქვე შევეცდები ავხსნა: მოდი გადავავლოთ თვალი იმ მწირ ცნობებს, რომლებიც ძეგლის ირგვლივ მოგვეპოვება. მოცემული ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „ქართლის ცხოვრებაში“ (სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა ტ.4) ციხე აუგია მაშინდელი ეგრისის ხელისუფლებას IV საუკუნეში მნიშვნელოვან გასაყარზე, რომელიც

აღმოსავლეთ საქართველოს ქვემო იმერეთთან და შავიზღვისპირეთთან აკავშირებდა. VI საუკუნის I მეოთხედში, ირან-ბიზანტიის ომის წინა პერიოდში (523 წელი) აქ ბიზანტიელთა გარნიზონი იდგა. მალე მათ დატოვეს ციხე-სიმაგრე, რასაც უბრძოლველად დაეუფლნენ ირანელები და ეკავათ 562 წლამდე. ამის შემდეგ ციხის ისტორია უცნობია. მე-15 საუკუნიდან იგი მოხსენიებულია, როგორც სამეფო ციხე-დარბაზი. 1590 წელს ეკავა ქართლის მეფე სიმონ I-ს. XVIII საუკუნეში ციხე იმერეთის სამეფოს მნიშვნელოვანი სიმაგრე იყო. შემდგომ ხანებში მან დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა. ეს მწირი ცნობები ცხადია მკითხველს ვერ უქმნის იმ სიღრმისეულ შთაბეჭდილებას, რომელსაც ამ ისტორიული ძეგლის არსებობა იმსახურებს. საჭიროა ადგილზე ნახო ყოფილი ციხე-სიმაგრე. მართალია, ახლა მხოლოდ მისი ნაწილიღაა შემორჩენილი, მაგრამ რაცაა: გალავნის კედლები, სათვალთვალო კოშკი, ჩაქცეული გვირაბი, ჩასავალი ქვევრები და ა.შ. დარწმუნდებით ჩვენი, მრავალჭირნახული ქვეყნის გარდასულ დღეთა სიდიადეზე. შემთხვევითი არაა, რომ რაიონულ გაზეთ „თერჯოლას“ ეპიგრაფად გასდევს სკანდას ციხის ნაწილის ფოტო ვახუშტი ბაგრატიონის განმარტებით.

ერთი პერიოდი სკანდას ციხეზე კვლევით სამუშაოებს ატარებდა ცნობილი არქეოლოგის გურამ ლორთქიფანიძის ექსპედიცია. მათთან ახლდათ გერმანელი ბიზანტოლოგი, იენის უნივერსიტეტის პროფესორი ქალბატონი. იმდენი, მიწისა და ღორღისაგან დაფარული, ექსპონატები აღმოაჩინეს გაკვირვების ვერ მალავდნენ.

ბიზანტიელმა ქალბატონმა ფეხი ფეხზე შემოიარა ციხის მთელი შემოგარენი და საუბარში დანაღვლიანებულმა გვითხრა: ასეთი უძველესი ძეგლი და ასე მიუხედავი პირველად ვნახე, ჩვენ, გერმანელებს მსგავსი დანიშნულების ძეგლები მხოლოდ მე-9 საუკუნიდან მოგვეპოვებაო, რომ ასეთი ძეგლი გვქონდეს კონსერვაციას ჩავუტარებდით, ბროლით გადავხურავდით და ექსკურსანტებისათვის საოცნებო ადგილად გავხდიდითო.

ბროლით გადახურვის რა მოგახსენოთ, მაგრამ ძეგლის კონსერვაცია კი შეიძლება გაკეთდეს, რომ მეტად აღარ დაზიანდეს ციხის ნარჩენები. ყოველ შემთხვევაში კულტურისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის წინაშე ეს საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი საქმე, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით გაკეთდა. როგორც ჩხარიდან ძველი საქარავნო გზით, ისე ქვედა ალისუბნიდან, სკანდეზე გავლით, სოფელ თავასამდე ასფალტ-ბეტონის გზები მოეწყო. ახლა ცენტრალური გზიდან ციხემდე სულ რაღაც 1 კილომეტრია დასაგები და ნებისმიერი მნახველი უპრობლემოდ ავა ძეგლის დასათვალიერებლად. პერსპექტივაში კი შეიძლება ხევზე მაღლივი ხიდი, ან სულაც საბაგიროც გაკეთდეს...

ი. ერაძე

ჩხარი...

„ჩხარი ერთ-ერთ უძველეს დასახლებას მიეკუთვნება“;
„ჩხარში ადამიანების კვალი ჯერ კიდევ ქვის ხანიდან ჩანს“;
„ანტიკურ პერიოდში ძველი აბრეშუმის საქარავნო გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე მისმა მდებარეობამ განსაზღვრა ჩხარის შემდგომი განვითარება“—წერენ მეცნიერები—არა ვარაუდების, არამედ მრავალწლიან მდიდარ არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით.

ეს ყველაფერი არაერთგზის წაგვიკითხავს, გვეამაყება და გვახარებს.

ეს ყველაფერი ვალდებულსაც გვხდის მზრუნველობა არ მოვაკლოთ და გავუფრთხილდეთ მის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელსაც გაისად 60 წელი უსრულდება თავმოყრილი და დაცული მდიდარი განძეული დასახლების ტერიტორიაზე ისტორიული ძეგლების სიმრავლე და უნიკალურობა, რელიეფის პოეტური მიმზიდველობა ქმნის ხელსაყრელ გარემოს ტურიზმის განსავითარებლად—და არა მხოლოდ ჩხარში, არამედ მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

ახლა დღევანდელი რეალობა:

„სოფელ ჩხარის ცენტრში კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტის მერმა **ლაშა გოგიაშვილმა** მოადგილეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სამშენებლო სამუშაოები ადგილზე მოინახულა და მშენებელი კომპანიის წარმომადგენლისაგან ინფორმაცია მოისმინა.

ბატონმა ლაშამ სიამოვნებით აღნიშნა, რომ **„თერჯოლაში ამჟამად არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. მათ შორის აქტიურ ფაზაშია სოფ. ჩხარში ცენტრის განახლება-კეთილმოწყობის სამუშაოები. აქ მოეწყობა დასასვენებელი სკვერი, გმირთა ხსოვნის მემორიალი, დაიგება ბეტონის საფარი და ა.შ.**

ეს ყველაფერი ემსახურება მცხოვრებთათვის კომფორტული და ლამაზი გარემოს შექმნას“.

(აღნიშნულ სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „რაგო“ ახორციელებს. მისი ღირებულება 154 998 ლარს შეადგენს...

ეს ნაწილია იმ ყველაფრისა, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების მიხედვით უნდა გაკეთდეს სოფელ ჩხარსა და მის შემოგარენში.

ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი
ალექსანდრე ბუცხრიკიძე
ჟურნალისტი
ნუგზარ გამყრელიძე

ხელშეკრულება გაფორმდა, სამუშაოებიც მალე დაიწყება...



ახალთერჯოლის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ელ.ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და გამარჯვებულ კომპანიას შორის ხელმოწერილი დოკუმენტის ფარგლებში მოხდება წყლის სათავე ნაგებობის, სატუმბი სადგურის, მოსახლეობაში მიმწოდებელი მაგისტრალების, ინდივიდუალური მრიცხველებისა და საქლორატოროს მოწყობა.

სამშენებლო სამუშაოებს რგფ-დან და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით,ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯი-ი-ეს“ განახორციელებს, რომლის ღირებულება 2 138 228 ლარს შეადგენს.

ყურადღება, კონკურსი!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევ კონკურსში განცხადების მიღება დაიწყო 16 დეკემბერს და გაგრძელდება 26 დეკემბრამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

ეს ვანდალიზმია... და თერჯოლელებს არ ეკადრება

განახლებული ინფრასტრუქტურა, გალამაზებული სკვერები და გაზონები, ეს ის ელემენტარული საკითხებია დადებითად რომ აისახება ადამიანთა გუნება-განწყობილებაზე და მეტიც, თითოეულ მათგანს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. ყოველივე ამაში კი ხელისუფალთა კეთილი ნება, მათი ძალისხმევა, საკმაოდ სოლიდური რაოდენობის ფინანსები და ადამიანთა შრომაა ჩადებული...

არ მეგულება ადამიანი მუნიციპალიტეტის იერ-სახის ცვლილება მის გასალამაზებლად გადადგმული ნაბიჯი არ უხაროდეს, სიამაყის გრძნობით არ ავსებდეს. როგორ შეიძლება საწინააღმდეგო გქონდეს რაიმე, ეს ყველაფერი ხომ თითოეული ჩვენგანისაა, საერთო სიმდიდრეა და ზოგადად ჩვენი კულ-

ტურის განმსაზღვრელია!

დავით კლდიაშვილის ძეგლისა და მისი პერსონაჟების მიმდებარე სკვერის განახლება-რეაბილიტაციის სამუშაოები არცთუ ისე დიდი ხნის წინ დამთავრდა და ეს ადგილი გართობა-დასვენების ერთ-ერთ საუკეთესო კერად იქცა, უფრო მეტიც... თერჯოლის საავიზიტო ბარათად!!!

ამ დღეებში ენით აუწერელი ვანდალიზმის მომსწრენი გავხდით და რა ხდება, ვიღაც გარეწარმა სკვერის ხელოვნური მინდვრის კარგა მოზრდილი მონაკვეთი დაჭრა და დაგაზიანა. ვის შეეძლო ამ „ვანდალიზმის“ ჩადენა. ნათელია, რომ პრობლემა აღზრდასა და ზნეობაშია, ორივე შემთხვევაში ჩაიდინა ეს დიდმა თუ პატარამ...

ერთი რამეცაა... ეს ქუჩა, მისი მცხოვრებლები ნამდვილად უნდა გრძნობდნენ და მადლიერებიც იყვნენ იმით, რომ გამორჩეულ პატივისცემაში არიან, გზით, განათებით, ღობეებით, ჭიშკრებით...

ახლა კიდევ ეს სკვერი ხომ მათი პატარებისთვის და არა მხოლოდ მათთვის ნამდვილად არის საუკეთესო და საამაყო და მას უნდა უფრთხილდებოდნენ და უვლიდნენ.

თერჯოლელებს არ გვეკადრება ასეთი საქციელი...

მზია ცქიფურიშვილი

გლობალური პრობლემა—უპატრონო ძაღლები...

კარგია ჰუმანურობა, მეც მიყვარს ცხოველები, ვერ მოვკლავ, ვერც გავუშვებ, ვერც სხვას მოვუწოდებ ძაღლის მოსპობისკენ, მაგრამ ვერც შევიფარებ. ასეთ დროს დასასმელია კითხვა—დატოვეს სოფელში ძაღლი, გააგდე შენი ეზოდან, გადავიდა მეზობელთან, გააგდო იმანაც, გადავიდა სხვასთან და ა.შ. სავსეა უპატრონო ძაღლებით არა მარტო სოფლები, არამედ რაიონის ცენტრიც. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, კარგია, რომ უპატრონო ცხოველებს კანონი იცავს, გაბედე და მოკალი, ციხე არ აგცდება, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლში—ადგილობრივი მმართველობის კომპეტენცია არის პუნქტი—უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა—მაგრამ როგორ! სად არის თავშესაფრები ან მკურნალობის საშუალებები. მათ მოვლა-პატრონობას ნახევარი ბიუჯეტი მოუნდება, პასუხისმგებლობა მეპატრონეს უნდა დააკისრო, მაგრამ როგორ! გსიამოვნებს ტელევიზორში მათზე გადაცემას რომ უყურებ, მაგრამ სულ სხვაა სინამდვილე.

ჩვენ სოფელში ძაღლი მოვიდა, ავი და აგრესიული, დაკბინა რამდენიმე ადამიანი, დაგვაშინა, ხელში ჯოხი დაგვაკავებინა, დავრეკეთ, შევაწუხეთ სამსახურები, წაიყვანეს, რამდენიმე ხნის შემდეგ თერჯოლის ცენტრში ვნახეთ, ადვილი საცნობია—კოჭლობს, მგელს ჰგავს. „დავაწინაურეთ“-ო ვამბობდით, რამდენიმე თვეში დაგვიბრუნდა, გაუგებარი ნიშნით ყურზე, ზოგმა თქვა აცრილიაო, ზოგმა ველარ გაამრავლებს ნაშიერსო, ძაღლი წელიწადში ერთხელ შობს რამდენიმე უსუსურ ლეკვს. მართალი იქნება ვინც მეტყვის ქვეყანაში მძიმე ვითარებაა, არამარტო კოვიდპანდემიის მხრივ, არამედ მრავალი ნიშნითაცო, მაგრამ არც უპატრონო ძაღლების თემა და არც მასთან დაკავშირებული შესაძლო უსიამოვნებებია დასავიწყებელი. ანტირაბიული ვაქცინა რომ უფასოა, ხელმისაწვდომია ვისაც დაჭირდება, რომ უპრობლემოდ იცრება შინაური ცხოველები, ოჯახში დადიან ვეტერინარები, რომ მოწოდების სიმაღლეზეა ამ კუთხით შესაბამისი სამსახური, ყველაფერი არ არი, საფრთხე არსებობს, ქუჩაში მოსიარულე, უპატრონო ძაღლებს ასაცრელად ვინ სდევს, რომ იცოდე ძაღლი აცრილია, ანტირაბიული ვაქცინა მაინც უნდა გაიკეთო, რაც არ არის ადვილი, ცოფს რომ უმკურნალებს იმ ვაქცინას რამდენი გვერდითი მოვლენა ექნება!

სად წავიყვანოთ მაწანწალა, საფრთხის შემცველი ძაღლები! მოთხოვნა—არ მოკლათ! სწორია, მაგარამ ამ გლობალური პრობლემის მოგვარება და გამოსავლის მოძებმა აუცილებელი..

ჟუჟუნა ცხადაძე

სპორტი

დათო რობაქიძის ვერცხლი

ახლახან სტამბოლში გამართულ კარატისტთა მე-11 მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა ჩვენმა სპორტსმენმა, თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლემ დათო რობაქიძემ. მან 12-13 წლის ასაკის (წონითი კატეგორია 56 კგ.) მოასპარეზეთა შორის ვერცხლის მედალი მოიგო.

ვულოცავთ.

დათო შარშანდელი ჩემპიონატის ოქროს მედალოსანია.

ბევრი სხვა ტურნირიც აქვს მოგებული.

მომავალი გამარჯვებები წინ არის.

ნ. იშხნელი

ასპარეზობენ ნორჩი მოჭადრაკეები

ქ. ქუთაისში გაიმართა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი მოსწავლე მოჭადრაკეთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს თერჯოლის სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა.

9 წელს გადაცილებულ თანრიგოსან გოგონათა შორის 7 შესაძლებლობიდან 6 მოგებითა და ერთი ყაიმით პირველობა თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ ნინო წივწივაძემ მოიპოვა და ოქროს მედალს დაეუფლა.

5 მოგებით მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა ღვანკითის საჯარო სკოლის მოსწავლე ნათია კუბლაშვილი.

4,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილი სამტრედიელ მოსწავლესთან ერთად თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ ლიზი ჩუბინიძემ გაინაწილა. მას მესამე თანრიგი მიენიჭა.

მესამე თანრიგი მიენიჭა ასევე მეოთხე ადგილზე გამოსულ თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეს გიორგი რობაქიძეს.

მასალა რედაქციაში მწვრთნელმა გია ჭუმბურიძემ წარმოადგინა.

ვულოცავთ და მომავალ წარმატებებს ვუსურვებთ მწვრთნელსაც და მის აღსაზრდელებსაც.

სამუდამო განსასვენებელ ადგილს მეტი ყურადღება სჭირდება

„მწუხარება სხვისა კეთილსა ზედაო“—ასე განმარტავს სულხან-საბა—შურს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი კი შურს ასე განმარტავს—როცა სხვისი ბედნიერება გენანება, არ გემეტება. „თეთრი შური“ არის ასეთი გამოთქმაც, მაგრამ შური შურია, თეთრიც და შავიც, თუმცა განიყოფებიან შური და ბაძვა, ბაძვა მსგავსებაა კეთილთაო—ე.ი. კი არ მშურს, არამედ მეც მინდა რომ მქონდეს.

მახსოვს, რამდენიმე სერიან ინდურ ფილმს როგორ ვაკრიტიკებდით. „გოიმს“ ეძახდნენ ვინც ინდურ ფილმს უყურებდა. ახლა საქართველოს ტელევიზიის ყველა არხით სხვადასხვა სერიალებს უჩვენებენ, ახლაც ვაკრიტიკებთ, მაგრამ მაინც ვუყურებთ. არის რაღაც კარგი ამ ფილმებში და მშურს მხოლოდ და მხოლოდ სასაფლაოები და საფლავები. დიახ, მეც მინდა და ალბათ ყველას გვინდა კარგად მოვლილი, ვარდ-ყვავილებით და არა ამბროზიით, კალმით და სხვა გაურკვეველი წარმომავლობის სარეველათი გადავლილი ძვირფასი საფლავები. ყველამ როგორ გვაჯობა, ნახეთ ჩვენი სასაფლაოები და შეადარეთ ისინი მათ სასაფლაოებს.

გაზეთმა „თერჯოლამ“ რამდენიმე წერილი მიუძღვნა ამ თემას, მოვუწოდეთ მოსახლეობას, ეკლესიას, მაგრამ დღემდე საზოგადოებრივ საწყისებზე საეკლესიო საბჭოებიც კი არ შექმნილა. მრავალი სახის ბიზნესი არსებობს, ამ საქმეს—სასაფლაოების მოვლა-პატრონობას კი ხელს არავინ ჰკიდებს, არადა სარფიანი თუ არა, მადლიანი საქმე ხომ იქნება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები. მე-16 მუხლის მეორე პუნქტით მრავალთაგან ერთი იქცევს ყურადღებას—სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა. ამ კუთხით ბევრი კეთდება, მაგრამ ბევრი რამ გადასაწყვეტია.

რამდენიმე წინადადებით რომ ვთქვა—სასაფლაოები გადავლილია ეკალ-ბარდებით, სარეველებით, ნაგავით. ბევრი მოეთხოვება მოსახლეობას, ვის ვუყურებთ ჩვენი გარდაცვლილი, უახლოესი ადამიანების საფლავების გასუფთავებას, რატომ ვყრით ნაგავს სასაფლაოს თავისუფალ ტერიტორიაზე, ვინ აიღოს შენგან დაყრილი ნაგავი! მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს ხომ არც საამისო და არც სხვა კომპეტენცია კანონით არ აქვთ მინიჭებული...

ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა ეწრის საჯარო სკოლის დირექტორის, აწ გარდაცვლილი დათო არაბიძის ერთი წლის თავზე, უახლოესმა მეგობარმა, ეწრის სკოლის ყოფილმა დირექტორმა ზურაბ ცირეკიძემ წამიყვანა. მე და ზურაბი ცოტა ადრე მივედით, დათოს საფლავის სიახლოვეს კაცი იდგა, პედაგოგმა ნუგზარ ხვარეშიამ მითხრა—ეს სასაფლაოს უვლისო. ძლივს ვნახე სოფლის სასაფლაოზე მზრუნველი კაცი, მქმნელი ყველაზე დიდი მადლისა—მიცვალებულთა დამმარხველი. მართლმადიდებელი სამყარო იცნობს მოწყალების შვიდ ხორციელ საქმეს: ჭმევას მშიერთა, სმევას მწყურვალთა, შემოსვას შიშველთა, შეწყნარებას უცხოთა, მოკითხვას სნეულთა, მიხედვას პატიმართა, დაფლვას მიცვალებულთა. ამ უკანასკნელს და ყველაზე აუცილებელს ასრულებს ეს კაცი...

თუ ეწერში გაკეთდა, თუ ეწერში მოაბეს თავი ამ საქმეს, სხვაგან რატომ არ კეთდება, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა უკეთესი სოფელში რა უნდა გააკეთონ, ზემდგომის დავალების შესრულება კარგია და აუცილებელი, იგი უნდა აკეთო გინდა თუ არ გინდა, მაგრამ სასაფლაოების მოვლა-პატრონობის საქმეში თავკაცობაც მნიშვნელოვანია. ეწერში, სწორედ მერის წარმომადგენლის, მიხეილ ქამუშაძის თავკაცობით და სოფლის მოსახლეობის ჩართულობით, მოგვარდა ეს მტკივნეული პრობლემა.

ჟუჟუნა ცხადაძე

ვალერიან ჭოლაძე



წავიდა, ჩაიფერფლა, სანთელივით დადნა უდროოდ, უდრტვინველად, მზესავით ნათელი და ყველასთან მართალი, სპეტაკი სულის ქართველი კაცი!

კაცი, რომელსაც სასიკვდილოდ ჭიაც კი ენანებოდა. ჩუმი, უპრეტენზიო, მორიდებული.

ანკარა წყაროსავით სუფთა, უზომოდ განათლებული და ერუდირებული, მაღალი მორალითა და ზნეამაღლებული თვისებებით შემკული. ამას ემატებოდა მისი მაღალი პროფესიონალიზმი და ყველაფერ ამაზე დამყარებული ავტორიტეტი.

დადიოდა თერჯოლის ქუჩებში გარეგნული ხიბლითა და სიდარბაისლით გამორჩეული ქუთაისელი კაცი „თერჯოლელად ქცეული“ ვალერიან ჭოლაძე, რომლის მეტყველი თვალებიდან მუდამ დიდი სითბო და სიყვარული გამოსჭვიოდა. ეს კეთილი მახასიათებლები კი მისი დიდბუნებოვნებიდან მომდინარეობდა.

წლების მანძილზე ჩვენს გვერდით შესისხლხორცებულო, უწყინარო, ჩვენო დირექტორო, გაოგნებული და ღონემიხდილი დაგვტოვე თითოეული ჩვენთაგანი. თქვენ ცხოვრობდით ჩვენი მუსიკალური სკოლის „ცხოვრებით“, მისი პრობლემებითა და წარმატებით. სინანულით ვიხსენებთ თქვენს მომხიბლავ იუმორს ქუთაისური ფერებით გადმოცემულს. ბოლომდე გვჯეროდა, რომ თქვენნაირი ბობოქარი ენერგიის ადამიანი ვერაგ ავადმყოფობას მოერეოდა. ერთად ვივსებოდით იმედით, ხან სასოწარკვეთა გვეუფლებოდა. ვაი, რომ ამაო აღმოჩნდა ეს იმედი და თქვენზე წარსულში გვიხდება ტკივილიანი მოგონებები.

დღეს ფიზიკურად აღარ ხართ ჩვენთან, მაგრამ ეს მხოლოდ კალენდარული დასასრულია. ბიოგრაფია ადამიანის გარდაცვალებით არ მთავრდება. თქვენ იყავით საუკეთესო გამოხატულება იმ ხელოვნების სამყაროსი, სადაც ზნეობრივი პრინციპები, სხვა ადამიანისადმი უანგარო სამსახური, განათლება და პატივისცემა ძალიან მნიშვნელოვანი ღირებულებები იყო. „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“. თქვენი საქმეები თავად ღაღადებენ თქვენს ღვაწლზე.

თვალწინ გვიდგას თქვენთან გატარებული დღეები, ცინცხალი ნიჭით გამორჩეული, ყოველთვის მოწესრიგებული, იცოდით ცოდნის ფასი. გვეამაყებოდა თქვენთან სიახლოვე.

მუხლს ვიდრეკთ თქვენი სპეტაკი სულის წინაშე. მართალო კაცო და სათაყვანო მამულიშვილო!

„იყავ ერთგული სიკვდილამდე და მოგცემ სიცოცხლის გვირგვინს“ (სახარება).

გჯეროდეთ, თქვენი საფლავის ბორცვს არასოდეს დაივიწყებენ სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლის თანამშრომლები. ის ყოველთვის ჩვენი ალალი ცრემლით დასველდება.

მშვიდობით, ბატონო ვალერ!

თერჯოლის სამუსიკო სკოლა

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვაჟა კუბლაშვილის სახელობის თერჯოლის სამუსიკო სკოლის დირექტორი ვალერი ჭოლაძე. იგი წლების მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა ამ გამორჩეულ სასწავლებელს, რომლის აღმზრდელ-პედაგოგებმა არაერთგზის ასახელეს ჩვენი რაიონი. ამ მძიმე დღეებში თანაგრძნობას ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, სამუსიკო სკოლის კოლექტივს...

გაზეთი „თერჯოლა“

ნანი ქარქაშაძე-ჭურაძე

მწუხარებას გამოვთქვამთ ქალბატონ ნანი ქარქაშაძე-ჭურაძის გარდაცვალების გამო... გამოგვაკლდა პატიოსანი, მშრომელი და ალალმართალი ადამიანი. ხანგრძლივი თანამშრომლობის მანძილზე ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში ყველასადმი სიყვარულსა და სითბოს გასცემდა, ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს. განსაკუთრებით უყვარდათ ახალგაზრდებს, კეთილი ღიმილით ეგებებოდა ბუფეტში შემსვლელებს...

ღირსეულად განვლო ცხოვრების გზა, მოკრძალებული იყო თანამშრომლების მიმართ. ვუსამძიმრებთ ოჯახს. ნათელში იყოს მისი სული... მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა..

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო
სკოლის პედაგოგები

დავით და ემზარ კლდიაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ ავთანდილ გვენეტაძეს მეუღლის

თამუნა გოგიბერიძე-გვენეტაძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

დავით და გოგი კლდიაშვილები ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

დემურ კლდიაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მაკა ონიანს დედამთილის

ანგელინა ჯანხოთელისა

და მამამთილის

შოთა სარდანაძის

გარდაცვალების გამო.

მოელვარე ფერებში განბნეული ნიჭიერება...

თედო ხუსკივაძის პირველი პერსონალური გამოფენის გამო

თედო ხუსკივაძე... ეს გვარ-სახელი ვინმე ჩვენებურისათვის ალბათ ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ თერჯოლაში არიან ადამიანები, ვინც ამ გვარ-სახელის ყმაწვილკაცში, უკიდეგანო ნიჭიერებას, მრავალმხრივი შემოქმედებითი უნარით ღვთისაგან უხვად მომადლებულ, მომავლის პიროვნებას ხედავს...

ასეთი განცდა სწორედ მაშინ დაგვეუფლა, როცა მან—თედო ხუსკივაძემ, რომელმაც შარშან დაასრულა თერჯოლის სამხატვრო სკოლა, მისივე პედაგოგის, ამავე სკოლის დირექტორის, თამარ ღარიბაშვილის თხოვნით სკოლის საგამოფენო დარბაზში პირველად გამოფინა საკუთარი ნამუშევრები...

თედომ 2020 წელს ოქროს მედალზე დაამთავრე ქვ. სიმონეთის №2 საჯარო სკოლა. იგი ამჟამად თბილისში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი ბიზნეს-ადმინისტრირების სპეციალობით სწავლობს. რა თქმა უნდა აქაც წარმატებით... მეორე კურსზეა...

კორონავირუსული პანდემიის გამო, მას როგორც სტუდენტს, ისე როგორც ათასობით სხვა ახალგაზრდას, ეს პერიოდი ბევრჯერ მოუწია სტუდენტურ აუდიტორიაზე უარის თქმა. თუმც, როგორც ჩანს, ამ დროში სრულიად ახალი გარდაქმნა განიცადა და ჩვენთვის კარგად ცნობილი გრაფიკული ხელწერიდან, თავისი ნიჭი, ფერწერისაკენ მიმართა...

ის რაც მაშინ, ოქტომბერში, თერჯოლის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში ვიხილეთ, დამსწრე საზოგადოებისათვის მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო...

საგამოფენო დარბაზის კედლებს, თედოს მიერ შექმნილ გრაფიკულ პორტრეტებთან ერთად, მოელვარე ფერებში მის მიერ შექმნილი ფერწერული ტილოებიც ამშვენებდა, რომელთაც ზრდასრულ, კარგად მოწიფულ ფერმწერს თუ მიაკუთვნებდი მხოლოდ...

აი, რა თქვა გამოფენის გახსნაზე სამხატვრო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა თამარ ღარიბაშვილმა: „ყველამ კარგად იცით მე რაც თავს გადამხდა (მეუღლის გარდაცვალება ჰქონდა მხედველობაში) და მადლობელი ვარ ჩემო თედო, რომ ცხოვრების ხალისი დამიბრუნე, მადლობა თედო კიდევ ერთხელ, რომ გვაჩვენე ეს ქვეყანა ლამაზი რომ არის, რომ უნდა ვიცხოვროთ, რომ უნდა ვიშრომოთ, რომ უნდა გავზარდოთ ისეთი კარგი ახალგაზრდები, როგორიც შენ ხარ. გეტყვი ერთ რამეს—გამახსენდა, სულ პირველად, როცა პატარა იყავი და ერთ-ერთი სკოლის ღონისძიებაზე შენი ნახატი ვნახე—შეგთავაზე, რომ შენ უნდა იყო სამხატვრო სკოლის მოსწავლე. ეს ასეც მოხდა მას მერე, რაც თედო ჩვენს სკოლაში სწავლობდა. იგი გრაფიკაში მუშაობდა. ვაღიარებ—ფერები მაშინაც უყვარდა, მაგრამ ყველა ღონისძიებაზე, კონკურსსა თუ ფესტივალზე, სადაც ჩვენი სკოლის მოსწავლეები ღებულობდნენ მონაწილეობას სულ გრაფიკული ნამუშევრები გამოჰქონდა, ჯილდოები—მედლები და დიპლომებიც ბევრი აქვს მიღებული, სკოლას ყოველთვის სასახელოდ წარმოაჩენდა...

დავპირდი, რომ პერსონალურ გამოფენას გავუკეთებდი. სულ რაღაც ექვსი თვე იმუშავა და როცა ნამუშევრები მოიტანა გაოცებული დავრჩი—მე გრაფიკას ველოდებოდი და როცა შევხედე დიდ ფერად ტილოებს, მივხვდი, რომ თედოს სერიოზული მოთხოვნა აქვს ფერწერის მიმართულებით“. ამ სიტყვების შემდეგ, ქალბატონმა თამარმა ერთგვარი წუხილიც გამოთქვა, რომ თედომ უმაღლესი განათლების მიღება არა სამხატვრო აკადემიაში გააგრძელა, არამედ ბიზნესის განხრით, მაგრამ „იგი იქაც არაჩვეულებრივი იქნებაო“—თქვა მან.

ქალბატონმა თამარმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაახსენა სამხატვრო სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებმაც არაერთხელ ასახელეს თერჯოლა და დღეს ასევე წარმატებულები არიან თავიანთ საქმიანობაში.

„ახალგაზრდას, ვისაც კარგი აზროვნება აქვს ის გრაფიკაშიც, ფერწერაშიც და საერთოდ ყველაფერში სწრაფად მიდის წინ. მე მინდა გისურვო და გთხოვო კიდევაც—არ გაჩერდე... თუ შენ ექვს თვეში, ამდენი ნამუშევარი წარმოგვიდგინე, თუ იმუშავებ დარწმუნებული ვარ აკადემია არ დაგჭირდება...

შენ პროფესიას, რომელსაც ხელი მოჰკიდე, დარწმუნებული ვარ ასევე წარმატებულად აითვისებ, მაგრამ გთხოვ მხატვრობას არ შეეშვა, შენ ყველგან წარმატებული იქნები.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა იმ სიამოვნებისათვის, რაც ამ შესანიშნავი ნამუშევრებით მოგვანიჭე“...

ახალგაზრდა მხატვარმა იმ დღეს არაერთი აღფრთოვანებული სიტყვა მოისმინა. იმსახურებდა კიდეც, თუმც იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ქება მას თვითტკბობის საბაბს არ მისცემს, საზოგადოება მისგან ბევრს ელის, რადგან ის მრავალმხრივი ნიჭიერებითაა კურთხეული—ხატავს, მღერის, უკრავს სხვადასხვა ინსტრუმენტზე, წერს ლექსებს...

ეს ახალგაზრდა კაცი იმსახურებს იმას, რომ მისი ნიჭიერება სწორედ ყველა ამ მიმართულებით დაინახოს თერჯოლის საზოგადოებამ და არა მარტო ჩვენ. აკი თქვა კიდეც გამოფენაზე მერიის განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, გურამ თურქაძემ,—„როცა კორონაპანდემია მორჩება და ამის საშუალება გაჩნდება თერჯოლა მის დიდ შემოქმედებით საღამოს გაუკეთებს ორგანიზებას“-ო. ამ იდეას იქვე დაუჭირა მხარი მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მირზა ქოჩიაშვილმა, რომელმაც სხვა, არაერთ გულშემატკივართან ერთად წარმატებები უსურვა თედოს მომავალ ცხოვრებაში.

გზა დავულოცოთ ჩვენთვის უკვე შემდგარ ახალგაზრდა მხატვარს და მომავალში ასევე წარმატებულ ბიზნესმენს თედო ხუსკივაძეს, რომელსაც რამდენიმე დღის წინ—9 დეკემბერს, 19 წელი შეუსრულდა!

წარმატებები და მრავალჟამიერ მას!

დავით კლდიაშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872